პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთწლედი — ვადამდე!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 მარტი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 62 (15579)

ეკონომიკურ ეფექტიანობას — ეკონომიკურ ეფექტიანობას!

● ენგურჰესის კაშხალის ტანში მარტში უნდა ჩაისხას 15 ათასი კუბური მეტრი ბეტონი.

● ჩაის კლანტაციებში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები.

● მეჩაიეებო! მოამზადებული შეგხვდეთ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს!

ჩვენი სახელის, ლირსების საქმე

მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ღერძი უნდა გახდეს დებულება, რომ საბოლოო ანგარიშით ხუთწლედის შესრულება დამოკიდებულია თვითეული მუშაკის აქტივობაზე, საქმისადმი შემოქმედებითს მიდგომაზე, ბეჯით შრომაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

ერთი წელი გავიდა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მეტად მნიშვნელოვანი, ისტორიული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

ეს დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, რომელიც მოქმედების საუკეთესო სახელმძღვანელოდ იქცა არა მარტო თბილისს, არამედ საქართველოს ყველა პარტიული ორგანიზაციისთვის, წარმოადგენს იმ უდიდესი ყურადღებისა და ზრუნვის მკაფიო გამოხატულებას, რასაც ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, იჩენენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციისადმი, მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, ხაზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე მისი ზემოქმედების გაძლიერებისათვის.

დიახ, უკვე წელიწადი გავიდა, მაგრამ დადგენილების ყოველი მუხლი, ყოველი წინადადება თუ სტრიქონი კვლავაც ჩვენი საუკეთესო ორიენტირია სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის დიდ გზაზე.

რა მთავარ საკითხებს, რა მთავარ პრობლემებს მიაქცია სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა და, ბუნებრივია, მთელი საქართველოს პარტიული ორგანოების ყურადღება? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი საკმარისად არ ითვალისწინებდა დიდაქალაქის პარტიული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის სპეციფიკას, ყოველთვის როდი ჰქონდა მხედველობის არეში განსაკუთრებით საყურადღებო უბნები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთლიანად რესპუბლიკისთვისაც. საერთო კარგი მაჩვენებლების მიღმა იგი ვერ ხედავდა მთელ რიგ დიდსა და სერიოზულ ნაკლოვანებებს, დამაბინძურებლებსა და დარღვევებს, დანაშაულის არაერთ ფაქტს თუ მოვლენას.

ყოველივე ამას კი თან ხდევდა უხიამოვნო და ხშირ შემთხვევაში სამარცხვინო ლოგიკური შედეგებიც. ძლიერ ჩამორჩა მრეწველობა. ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირებული იყო რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, არადამაკმაყოფილებელი იყო მისი ხარისხი, სისტემატურად არ სრულდებოდა კაპიტალური მშენებლობის დავალებანი, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა საცხოვრებელი სახლების, კომუნალური ნაგებობების მშენებლობის საქმეში, ადამიანთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

პარტიულ-ორგანიზატორული, პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არადამაკმაყოფილებლმა დონემ განაპირობა ჩვენი საზოგადოებისათვის უცნო, ისეთი მახინჯი მოვლენების გამოცოცხლება, როგორიც არის სახელმწიფო საკუთრების დატაცება, სპეკულაცია, მექრთამეობა, მოქთახორობა, კერძომესაკუთრული გადმონაშთები.

როგორც ცნობილია, ხელმძღვანელობის დონის ამაღლება, საერთოდ, წარმოუდგენელია, თუ არ ამაღლდა კადრებთან მუშაობის დონე. მაგრამ, სამწუხაროდ, ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის პირობებში კადრების საკითხების გადაწყვეტისას იჩენდნენ უპრინციპობას, ლიბერალიზმს, მათ ხშირად არჩევდნენ ძმაბიჭობის, ნათესაობის, პირადი დამოკიდებულების ნიშნით, უგულებელყოფდნენ კოლექტივის, პარტიული მასების აზრს. ამიტომ პასუხსაგებ თანამდებობებზე არცთუ იშვიათად ხვდებოდნენ სუსტი მუშაკები, ზოგჯერ ისეთებიც, რომლებმაც არც საქმე იცოდნენ და მორალური ქცევითაც ბევრს ვერაფერს დაიკვეხნდნენ.

სწორედ ამ ფაქტებს, აგრეთვე ბევრ სხვას, რაზეც გამახვილებულია ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, მეტნაკლებად ადგილი ჰქონდა საქართველოს ბევრ საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში. განა ჩვენი პარტიული კომიტეტების მხრივ უყურადღებობა და ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის დანაშაულებრივი ლიბერალობისა თუ უპრინციპობის ლოგიკური შედეგი არ იყო, რომ თბილისში წლების განმავლობაში თავისუფლად მოქმედებდნენ ქამოელ-მაუდის კომბინატის თავგასული კომბინატორები, ან კიდევ უსტალინი ადამიანები ქალაქის სატელეფონო ქსელიდან?! მთელი რიგი ნაკლოვანებანი, დანაშაულობანი, დამაბინძურებანი და სიყალბენი გამოვლინდა გარდაბნის, ჩოხატაურის, გორის, ზუგდიდის, სიღნაღის, თელავის, ოჩამჩირის და სხვა რაიონებში. შეუწყნარებელ, არაჯანსაღ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ცეკავშირის სისტემაში, ბევრ დამამზადებელ, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებში, სადაც მოშვებული იყო პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, ხელმძღვანელი მუშაკების მხრივ მკაცრი კონტროლი შეცვლილი იყო ურთიერთმაბრალებლური დამოკიდებულებით.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა მეტად არასახარბიელო იყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ ის დიდი შუქია, რომელმაც დროულად გაგვინათა ირგვლივ და მთელი სიმკვეთრით, ნათლად დაგვანახვა ჩვენი არასასიამოვნო მხარეები, ხელმძღვანელობის დამკვიდრებული მანკიერი მეთოდები.

რა დასამალავია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნებიდან პირველივე თვეებში სწრაფად როდი დაიძრა საქმე ადგილიდან, იგი ზანტად, უხალისოდ წარიმართა. განსაკუთრებით ინერტულობას იჩენდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ზოგმა ხელმძღვანელმა მუშაკმა იფიქრა კიდეც, თითქოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ სავსებით დროულ და პრინციპულ დადგენილებაში მოცემული კრიტიკა სრულიადაც არ შეეხებოდა მთლიანად საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას. მაგრამ ფაქტები მთელი სიჯიუტითა და სიცხადით ადასტურებენ, რომ პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ ვერ შეესაბამებოდა სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს როგორც თბილისში, ისე აფხაზეთში, აჭარასა თუ სამხრეთ ოსეთში, ქუთაისსა თუ ბევრ ეგრეთწოდებულ პრივილეგირებულ რაიონებშიც, სადაც აქამდე დადებითის, კარგის მეტს „ვერ ხედავდნენ".

ახლა, როცა თითქოს ვაჯამებთ, ამასთან მეტად კრიტიკული და ობიექტური თვალით ვაფასებთ მთელ მუშაობას, რაც დღემდე გაწეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო დადგენილების შესასრულებლად, ქმაყოფილებით ვამბობთ, რომ უკვე თვალნათლივ ჩანს, ყოველმხრივ შეიგრძნობა მისი სასურველი და კეთილი ნაყოფი. საქმეს განსაკუთრებით სასიკეთო ხელი დაატყო ამ ბოლო თვეებში განხორციელებულმა უაღრესად პრინციპულმა და გაბედულმა ღონისძიებებმა. ახლა თვითეული ჩვენგანი ხედავს, რომ აღებულია აღმშენებლობითი, შემოქმედებითი, პატიოსანი შრომის, მართალი ხელფასის, ყოფაცხოვრებაში ადამიანის პატივისცემის, წესიერების, ნდობის, მაღალი მოთხოვნელობისა და მკაცრი პასუხისმგებლობის კურსი.

კარგ და ეფექტურ ღონისძიებებს ახორციელებს პარტიის თბილისის კომიტეტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ადგენ ამ თვითეული ბიურეულადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. თბილისელი კომუნისტები, სულ უფრო ღრმა ანალიზს რომ უკეთებენ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, ამასთან უფრო კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს ეძებენ, თუ როგორ დროულად და წარმატებით გადაწყვიტონ ხუთწლედის მეტად პასუხსაგები ამოცანები, ბოლომდე ხორცი შეასხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

თუ გადავხედავთ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ხუთწლედის ამ გადამწყვეტი წლის ორი თვის შედეგებს, ნათლად დავრწმუნდებით, რომ საქართველოს მშრომელებმა წარმოების ამა თუ იმ უბანზე საგულისხმო წარმატებებს მიაღწიეს როგორც სახელმწიფო დავალებათა, ისე ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

იანვარ-თებერვალში სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 103 პროცენტით შესრულდა, გადაჭარბებით იქნა განაღდებული საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებაც. მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზაციის ზრდის ტემპმა 8,1 პროცენტი შეადგინა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით გაანაღდეს ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, გორის ბამბეულის კომბინატს და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

გაუმჯობესდა კაპიტალდასაბანდებათა გეგმების შესრულებაც. ენერგიულად მოემზადნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ჩვენი კოლმეურნეობები და სამკოთა მეურნეობები, სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეცხოველეობის ბევრი ფერმა და ბრიგადა.

ყოველივე ეს იმ მღელვარე და მჩქეფარე საქმიანობის უშუალო შედეგია, რომელიც ამჟამად ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში ჩაღღება და მას ხელს უწყობს ლენინური ნორმების ბოლომდე აღდგენის გაბედული ღონისძიებანი: კრიტიკისა და თვითკრიტიკის, როგორც ჩვენი საზოგადოების ერთერთი მთავარი მამოძრავებელი ძალის, პატივცემულ, შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ დაცვა, ადამიანთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის სულ უფრო განვითარება, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა სულ უფრო მეტ მომთხოვნელობას იჩენენ კადრებისადმი, თვითეული კომუნისტისადმი. უფრო ეონივრულად იყენებენ ორგანიზაციული მუშაობის მრავალფეროვან მეთოდებს, კონტროლის სხვადასხვა ფორმებს.

ფართო გავრცელება ჰპოვა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი და დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნების მუშათა, ქობულეთის რაიონის ხუცუბნისა და გორის რაიონის ტყვიავის მშრომელთა ინიციატივამ — შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ საზოგადოებრივი მარცლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის ყოველგვარ გამოვლინებას.

მაგრამ, ზოგს არ მოსწონს ასეთი მომთხოვნელობა, ნაკლოვანებებისა და დამაბინძურებების აღმოსაფხვრელად ასეთი შემტევი კურსი, სურთ კვლავ ძველებური გზით სიარული, როცა პასუხს არ სთხოვდნენ არც უმოქმედობისათვის და არც რაიმე გადაცდომისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი სიმკაცრე, პირდაპირობა და შეურიგებლობა უნდა გამოიჩინონ ამათ მიმართ, ვინც ფეხი ვერ აუწყო დღევანდელ სავსებით სწორ და გონივრულ რიტმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ თვეებში განახორციელა ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ჩვენი პარტიული, სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ, აღმშრდელობითი მუშაობის გაძლიერებისაკენ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე, როგორც სარკეში ისე აისახა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება, კომუნისტთა კოლექტივების, ჩვენი კადრების საქმიანობის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, ამასთან ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის საჭირო გზები. სწორედ ამ სარკეში ჩანს ის სერიოზული ნაკლოვანებანი. რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომელთა დროული გამოსწორება აუცილებელია ამ დიდი შენების, შრომისა და ბრძოლის გზაზე. ეს არის ახლა მთავარი, როგორც იტყვიან, საქმის თავი და თავი.

თუმცა შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ დდია იმ ხაზარმოთა რიცხვი, რომლებმაც ხუთწლედის ამ გადამწყვეტი წლის პირველ თვეებშიც ვერ შეასრულეს გეგმა. ჩამორჩენაა ფოლადის, ნამგალსტრალო ელმავლების, შიფერის, ბამბეულისა და შალეულის, წინდის ნაწარმის, ზეთა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის წარმოებაში. განსაკუთრებით ჩამორჩნენ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები.

ყველაფერი რიგზე როდია სოფლის მეურნეობაშიც. ხორცის წარმოების მეტად დაბალი დონეა ჯოჯორეთის, ახმეტის, ლენტეხის, ცხაკაიას რაიონებში, ხოლო რძის წარმოებისა — ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხაშურის, ბოლნისის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებში. ბევრი რამ არის გასაკეთებელი სხვა დარგებშიც.

უფრო სწრაფი ქმედითი, საქმიანი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო სამშენებლო, საატრანსპორტო, სავაჭრო და ხალხანსო, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ბოლომდე აღსაკვეთად, იქ მომუშავე ხელმძღვანელების, კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე, როგორც სარკეში ისე აისახა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება, კომუნისტთა კოლექტივების, ჩვენი კადრების საქმიანობის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, ამასთან ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის საჭირო გზები. სწორედ ამ სარკეში ჩანს ის სერიოზული ნაკლოვანებანი. რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომელთა დროული გამოსწორება აუცილებელია ამ დიდი შენების, შრომისა და ბრძოლის გზაზე. ეს არის ახლა მთავარი, როგორც იტყვიან, საქმის თავი და თავი.

თუმცა შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ დდია იმ ხაზარმოთა რიცხვი, რომლებმაც ხუთწლედის ამ გადამწყვეტი წლის პირველ თვეებშიც ვერ შეასრულეს გეგმა. ჩამორჩენაა ფოლადის, ნამგალსტრალო ელმავლების, შიფერის, ბამბეულისა და შალეულის, წინდის ნაწარმის, ზეთა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის წარმოებაში. განსაკუთრებით ჩამორჩნენ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები.

ყველაფერი რიგზე როდია სოფლის მეურნეობაშიც. ხორცის წარმოების მეტად დაბალი დონეა ჯოჯორეთის, ახმეტის, ლენტეხის, ცხაკაიას რაიონებში, ხოლო რძის წარმოებისა — ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხაშურის, ბოლნისის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებში. ბევრი რამ არის გასაკეთებელი სხვა დარგებშიც.

უფრო სწრაფი ქმედითი, საქმიანი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო სამშენებლო, საატრანსპორტო, სავაჭრო და ხალხანსო, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ბოლომდე აღსაკვეთად, იქ მომუშავე ხელმძღვანელების, კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ.

ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მეტად პრინციპული, უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომლებიც მიმართულია ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე ჩვენს სინამდვილეში დაწესებულობათა აღსაკვეთად, ყველგან და ყველაფერში წესრიგის დასამყარებლად, ადამიანთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

როგორც ჩვენი პრესის ფურცლებიდან არის ცნობილი, ბევრს უკვე მიეზღო საკადრისი. ამ ღონისძიებათა მიზანი მარტო ნაკლის მხილება და კონკრეტულ დამნაშავეთა დასჯა როდია, ეს გაკვეთილი უნდა იყოს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

ამჟამად როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მომდინარეობს მეტად დიდმნიშვნელოვანი კამპანია — პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. იგი სამართლიანად მიგვაჩნია როგორც ჩვენი პარტიული ძალების დათვალიერება. ახალი ნიმუშის პარტიულ ბილეთებს რომ იღებენ, კომუნისტები აცხადებენ მზადყოფნას — იყონ ხუთწლედის ამ გადამწყვეტ წელს ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, პრაქტიკული საქმეებით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

„სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასების ცოცხალი შემოქმედება, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე, — მოითხოვს არა მარტო მოწინავეთა აქტიურ მხარდაჭერასა და წახალისებას, არამედ იმათ გამოვლენასაც, ვინც ჩამორჩა ან საკმაოდ კეთილსინდისიერად არ მუშაობს".

სწორედ ასეთი პრინციპით, სწორედ ასეთი პოზიციებიდან უნდა მიუდგეს თვითეული პარტიული ორგანიზაცია, თვითეული ჩვენგანი იმ კომუნისტებს, იმ ხელმძღვანელებს შეფასებასაც, რომლებმაც ვერ აუწყეს ფეხი საერთო რიტმს, ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა ისე, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება მოითხოვს, რის შესახებაც ასე დაბეჯითებით მიგვითითებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ხუთწლედის მესამე — 1973 წელი უნდა გახდეს ჭეშმარიტად შთაგონებული დამკვიდრული შრომის წელი, დიდი გარდატეხის წელი.

მთელი ჩვენი ენერგია, ცოდნა და მონდომება — ხუთწლედს, პარტიის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებას!

ეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის სახელისა და ღირსების საქმეა.

კიდევ უფრო აჯამაღლოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

დღეს კლანტაციებში

ბალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა აფხაზეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ხუთტროპიკულ მეურნეობათაგანია. მან გასულ წელს საბელმწიფოს გეგმაურზე 100 ტონით მეტი — 1.800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიჰყიდა. მეურნეობის მშრომელებმა უკვე დაამთავრეს მინერალური სასუქების პირველი დოზის კლანტაციებში მწკრივთაშორის შეტანა, ჩატარებულია კულტივაცია. ამუამად აქ ჩაის ბუჩქების ფორმირება მიმდინარეობს. წელს მეჩაიეებმა 2.100 ტონა ნედლეული უნდა მოკრიფონ, აქედან 200 ტონა ვალდებულების მიხედვით, სურათებზე: მეურნეობის ჩაის კლანტაციებში ბუჩქების გასხვლა მიმდინარეობს; საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი პოწინაევ მექანიზატორი, კომკავშირელი რობერტ ნარმანია, იგი დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

ფ. ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

კაშხალის საძირკველი მაღლდება

თაღოვანი კაშხალის ტანი მარტში მიიღებს 15 ათას კუბურ მეტრ ბეტონს

მეცხრე ხუთწლედის მესამე წელი დამკვრელურად დაიწყო ენგურჰესის მშენებლობაზე. მაღლდება და მტკიცდება თაღოვანი კაშხალის საძირკველი. მიუხედავად რთული გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობებისა, ჰიდრომშენებლები ნაყოფიერ შრომას განაგრძობენ.

მშენებლებმა თებერვალი მაღალი შრომითი მაჩვენებლით დაამთავრეს. კაშხალის ბლოკებში ჩაასხეს 12 ათას 400 კუბური მეტრი ბეტონი ნაცვლად 12 ათასი გეგმისა.

სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია მესამე უბანმა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ნ. ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობს. უბნის მებეტონეებმა 5 ათასი ტონის ნაცვლად კაშხალის ტანში ჩაასხეს 7 ათას 602 კუბური მეტრი ბეტონი. ისინი თვისებური რეკორდსმენები არიან ენგურჰესის მშენებლობაზე — 24 თებერვალს ერთ ღამეში 672 კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხეს კაშხალის ტანში!

მესამეუბნელებმა ვალდებულება იკისრეს მარტში გეგმით გათვალისწინებული 4.500 ტონის ნაცვლად ჩაასხან 6.000 კუბური მეტრი ბეტონი. ამ მიზნის განსახორციელებლად თავდადებით შრომობს ფეცლა ჰიდრომშენებელი.

თაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მებეტონეები ვ. რობაქიძე, ა. შლიპაკოვი, შ. ტოსტაროუბსკი, ვ. კვეკვესკირი, ელექტროშემდოებელი ვ. ვახანელოვი, ზეინკლები შ. გურჯიანი, ნ. ნასლიმოვი, ფურგლები ვ. მდივნიშვილი, თ. მარგველანი, ბ. გალოლია. უკვე მიორე კვარტალის ანგარიშში შრომობენ მ. კვეკვესკირი, რ. ალაიას, ე. ზაქარაიას და ა. მესხის კომპლექსური ბრიგადები.

დამკვრელურ წელიწადს — დამკვრელური შრომა! — ასეთია დღეს ენგურჰესელთა შეჯიბრების დევიზი.

ლ. ბარჭაია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოლაპარაკება

13 მარტს კრემლში გაგრძელდა წინადღით დაწყებული მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით და იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ამხ. ე. ბერლინგუერის მეთაურობით.

მოლაპარაკების დროს დელეგაციებმა განიხილეს ორივე პარტიისთვის საინტერესო საკითხთა ფართო წრე.

გადაწყდა გამოაქვეყნონ ერთობლივი კომუნიკე მოლაპარაკების შედეგების შესახებ. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ჯ. შულცი

14 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ერონომიურ საკითხებში, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ჯორჯ შულცი, რომელიც ამერიკელ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის საკითხთა გაერთიანებული კომისიის თანათავმჯდომარეა.

საუბრის დროს ჯიმმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ბევრ საკითხზე, რომლებიც ეხებიან საგაჭრო-ეკონომიურ დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარების ახლანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებს. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ამ სფეროს, და თქვა, რომ საჭირო ამ ურთიერთობას საფუძვლად დაედოს სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსაგრებლიანობის პრინციპები. პრეზიდენტ რ. ნიქსონის სახელით ჯ. შულცმა დააფასა ტრი, რომ ამერიკის მხარე აპირებს საგაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობის განვითარების დარგში იმ მიზნების რეალიზაციას, რომელთა გამო მიღწეული იყო შეთანხმება 1972 წლის მაისში მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრების დროს და რომლებიც ბისახა ორ ქვეყანას შორის დადებულ შესაბამის შეთანხმებებში.

საუბარი მიმდინარეობდა ურთიერთგაგების სულისკვეთებით და საქმიანი კონსტრუქციული ხასიათისა იყო.

საუბარში მონაწილეობენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ნ. პლეშაკოვი, თეთრი სახლის აპარატის პასუხისმგებელი თანაშრომელი ჰ. სონენფელდი და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველი საგაჭრო-ეკონომიურ საკითხებში ლ. ბოდენი.

გულთბილ ვითარებაში

12 და 13 მარტს მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ფინეთის რესპუბლიკის დელეგაციებს შორის.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივანი ნ. ვ. ფადეევი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენელთა მოადგილენი.

ფინეთის რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. ლინამო (დელეგაციის ხელმძღვანელი), მდივანი ო. დ. კულაპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ი. დოლბეხი და სხვები.

მათთან ერთად იყვნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ტოდორ პავლოვი, სხვა ბულგარელი ამხანაგები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ა. ლუს

პარტიული ცხოვრება

პირადი მაგალითის ძალა

გასული წლის უამინდობამ მცირე ზიანი როდი მიაყენა აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობას. მისი უსიამოვნო ჩრდილი ჩვენც გადმოგვწვდა. მაგრამ ამის მიუხედავად 273 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანეთ 24 ცენტნერი სიმინდი, ანუ 7 ცენტნერით იმაზე მეტი, რასაც გეგმა ითვალისწინებდა, დავამზადეთ 227 ტონა ეთერზეთოვანთა ნედლეული (დაგეგმილი კი იყო 204 ტონის მიღება). ყოველ საფურაჟე ძროხაზე 1.500 ცენტნერის ნაცვლად მივიღეთ 1.733 ცენტნერი რძე. გადამეტებით შევასრულეთ აგრეთვე პირუტყვის სულადობისა და დახბოიანების დავალებანი.

უამინდობასა და ბუნების კაპრიზებს დავუპირისპირეთ შრომის მაღალი ორგანიზაცია, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა. კომუნისტთა პირადი მაგალითი.

პარტიული ორგანიზაციისა და მისი ბიუროს საპატიო ამოცანაა ადამიანები აღზარდოს შრომისადმი სიყვარულის სულისკვეთებით. და ეს ადვილი როდია. ვინც ამას მიაღწევს, ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრისაც არ ეშინინა. შრომა ხომ მარტო არსებობის წყარო არ არის, იგი ადამიანის შესაძლებლობებსა და უნარსაც ავლინებს. ჩვენი კოლმეურნეობის 38-ვე კომუნისტი ხუთწლედისათვის ბრძოლის წინა ხაზზეა. კომუნისტებმა ჯ. ჯოჯიშვილმა, ივ. არვილაძემ, მ. ჯალაღონიამ, ხ. რატიანმა, გ. შალამბერიძემ, მ. ხაჭიშიამ, ი. ჩერეულმ და სხვებმა თავდადებული შრომით სოფლის სიყვარული დაიმსახურეს.

პირველადი პარტორგანიზაცია ყოველშრომის უჭერს მხარს მოწინავეთა სასარგებლო თაოსნობებს და ფარფოდ აგრცელებს ჯათ. უპარტიო კოლმეურნე ჟ. თურქია, რომელიც შარშან ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოდგეს, 30 წელზე მეტია მეცხოველეობაში შრომობს, ახლახან მან თავიანი შვილი. — ზურაბი ამოიყვანა გვერდში, მამა მეცხოველე შვილს გადასცემს ესტაფეტას. პარტიის წევრობის კანდიდატის ზ. თურქიასათვის მეცხოველეობაში ნაყოფიერი შრომა საუკეთესო დახასიათება იქნება, როცა ის განცხადებით მიმართავს პირველადს პარტორგანიზაციის პარტიის წევრად მიღების შესახებ.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲓᲜᲐ — ᲛᲐᲡᲔᲑᲡ!

მიწის რაციონალური გამოყენება

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲐᲛᲤᲚᲔᲑᲐ. სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მიწათმოქმედება მატერიალური წარმოების სფეროს ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკის დარგში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპების დაჩქარება ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პრობლემის გამოკვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მიწის, როგორც წარმოების საშუალების, ის თავისებურებანი, რომლებიც მას წარმოების სხვა საშუალებებისაგან განასხვავებს.

მიწის, როგორც წარმოების საშუალების, ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა ის, რომ იგი მუდმივი წარმოების საშუალებაა, წარმოების ყველა სხვა სამუალება წინანდელი შრომის შედეგია, მიწა კი თვით ბუნების წარმონაქმნია, ნიადაგწარმოქმნის ბუნებრივი პროცესის შედეგია. წარმოების სხვა საშუალებანი უმჯობესდება ან ცვდება, სახეს იცვლის და ახალი საშუალებებით იცვლება, მიწა კი, როგორც ფიზიკური სხეული, უფრო მეტი სიმყარით სასიათდება და, როგორც წესი, არ იცვითება და არც შეინაცვლება. ამასთან მიწას, როგორც წარმოების საშუალებას, ის თავისებურება ახასიათებს, რომ წარმოების პროცესში მისი რაციონალურად გამოყენებისას იგი არა თუ იცვითება, პირიქით უმჯობესდება, მისი ნაყოფიერება მაღლდება.

მიწის საწარმოო ძალის ამაღლება განპირობებულია შრომისა და წარმოების საშუალებების დამატებითი დაბანდებით, მიწათმოქმედებაში ახალი და უახლესი წარმოების საშუალებების დანერგვით, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთ გამოცდილების ფართოდ გამოყენებით. ამის შედეგად იზრდება მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე დაბანდებული შრომის საშუალებათა ოდენობა, მიწის საწარმოო ძალა, მაღლდება მისი ნაყოფიერება. ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი გზა არის მიწის ერთისა და იმავე ფართობის რაც შეიძლება უკეთ დამუშავება და მთელი წარმოების ინტენსიფიკაცია.

მიწის როგორც წარმოების ძირითადი და შეუცვლელი საშუალების თავისებურებანი იმაშია, რომ სიერცობრივად განსაზღვრულია, ამიტომაც განსაზღვრულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწის მარაგიც. მიწა წარმოების ერთადერთი უცვლელი საშუალებაა. ის სწორი გამოყენებისას არა თუ იცვითება, არამედ მუდამ უმჯობესდება, მისი ნაყოფიერება მაღლდება, მიწის ყველა ეს სპეციფიკური ნიშანი მისი რაციონალურად გამოყენებისა და ინტენსიური მიწათმოქმედების საფუძველია.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით მასშტაბური ეკონომიური შედეგის მისაღწევად ტუცილებელია მიწის თავისებურებების ღრმა მეცნიერული შესწავლა. ამიტომ მიწის მეცნიერული გამოყენება, მისი ნაყოფიერების შენარჩუნება, ამაღლება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლიანობის გადიდება პოლიტიკურ-სოციალური საკითხებია, რომლებიც ხალხთა მასების სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „მიწა ჩვენი ძალისა და ჩვენი სიმდიდრის წყაროა... მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება, სოფლის მეურნეობაში შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი პროგლემაა“.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მიწის რაციონალურად გამოყენება. მიწა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების თავარი საშუალებაა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების საზოგადოებრივი სიმდიდრის საფუძველია. იმაზე, თუ როგორ იყენებენ მიწას, როგორია მისი ნაყოფიერება, დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობა, მეურნეობის განვითარების დონე კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში. მიწის სწორი გამოყენება და ნაყოფიერების ზრდა ძირეული საკითხია სოფლის მეურნეობაში.

ჩვენს ქვეყანას აქვს ნაყოფიერი მიწების უდიდესი ფართობები, რომლებსაც შეუძლიათ მოგვეცენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უსვი და მყარი მოსავალი. მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. სსრ კავშირში სასოფლო-სამეურნეო საწარმოოა, მეურნეობათა და სხვა მიწათმოსარგებლეთა სარგებლობაშია 2227,5 მილიონი ჰექტარი მიწის საერთო ფართობი, აქედან 608,1 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საგარგულებია, მათ შორის 224,3 მილიონი ჰექტარი დამუშავებული სახნავი, 47,5 მილიონი ჰექტარი სათიბი და 327,4 მილიონი ჰექტარი საძოვარი. საერთო ტერიტორიით და სასოფლო-სამეურნეო საგარგულებს ფართობით სსრ კავშირი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, ჩვენს ქვეყანას აქვს მიწის უდიდესი რესურსები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს რესურსები უსაზღვროა. დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული ჰექტარი მიწის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების რაციონალურად გამოყენებას. განსაკუთრებით ძაცარად უნდა მივუდგეთ საწარმოთა მშენებლობისათვის მიწების გამოყოფას, რაც ამიერიდს სასოფლო-სამეურნეო საგარგულებს. ეს შემცირება შეიძლება სხვა მიზეზითაც მოხდეს. ამასთან მოსახლეობა იზრდება ყოველწლიურად, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო საგარგულების ფიზიკური ფართობის ოდენობა თანდათან მცირდება.

უკანასკნელ 15 წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოიყო 111.000 ჰექტარი, მათ შორის 26.200 ჰექტარი სახნავი, 23.100 ჰექტარი სათვარი, 1.600 ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები, ე. ი. ყოველწლიურად საშუალოდ 1400-1700 ჰექტარი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები.

საჭიროა გავუფრთხილდეთ მიწის რესურსებს. მკაცრად და ანგარიშიანად უნდა მოხდეს მიწების გამოყოფა საწარმოო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის. საჭიროა დიდი ზრუნვა ამისათვის, რომ კი არ მცირდებოდეს, არამედ განუწყვეტლივ დიდდებოდეს პროდუქტიული საკარგულების ფართობები. მიწის გამოყენება უნდა გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი მიწების მოქცევის, საკარგულებისა და ნათესების სტრუქტურის განუხრელი გაუმჯობესებით, დაბალშემოსავლიანი კულტურების უფრო მაღალშემოსავლიანი კულტურებით შეცვლით, მიწათმოწყობის გაუმჯობესებით, სწორი თესლბრუნვის მასობრივად შემოღებით.

ჩვენთან შექმნილია სოფლის მეურნეობის განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა რეალური შესაძლებლობანი, რომ მიწათმოქმედება წარიმართოს მეცნიერების მონაცემებისა და მოწინავე პრაქტიკის საფუძველზე. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული მელიორირებული მიწების მაქსიმალურ გამოყენებას და, საერთოდ, მელიორაციას. მელიორაციულ სამუშაოებს ფართოდ უნდა მოგკიდონ ხელი თვითონ. კოლმეურნეობებმა, მელიორაციი მარტო, დიდი სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების შექმნა არ არის. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ მორწყვისათვის გამოიყენონ ადგილობრივი ჩანადენი წყალი, შექმნან გუბურები და წყალსატევები.

სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო ქიმიზაციის თანმიმდევრულად განხორციელებას. ზორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რათა გადიდდეს სასუქების, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ეფექტიანი საშუალებების, აგრეთვე მიკრობიოლოგიური სინთეზის პროდუქტების წარმოება.

მიწათმოქმედების მაღალი კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას ამჟამად აქვს ტრაქტორების მძლავრი პარკი, ასევე ათასობით მარცვლიანს, სიმინდის და ჭარხლის ასალები კომბაინი, ლაფეტიანი და საკიდი სამკალი და მილოონობით სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია ამოცანა, რომ დროზე დამთავრდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია.

მიწის საგარგულების გამოყენების საქმეში დიდი როლი მიეკუთვნება აგრონომიურ ღონისძიებათა კომპლექსს (ნიადაგის შერჩევა და დამუშავება, კულტურების ჯიშური დარაიონება და თესლზე მოთხოვნილების სწორად განსაზღვრა, მეთესლეობის და სანერგე მეურნეობის გაფართოება, ელიტური სათესლე მასალით და მაღალხარისხოვანი ნერგით ყველა კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის მომარაგება, დროული და წესიერი თესვა, ნათესების და ნარგავების სიმეჩხრის მოსპობა, თვითეული კულტურის ყველა სამუშაოს აგროტექნიკური ვადების დაცვა, მცენარეების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლა). აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეს კომპლექსი, რომელიც შეესაბამება მიწათმოქმედების მიღებულ სისტემას და მეურნეობის სპეციალიზაციას, უზრუნველყოფს მიწის საგარგულების ყველაზე სრულად გამოყენებას მინიმალური დანახარჯებით, ფართობის ერთეულზე მიწათმოქმედების პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობით მიღებას.

მიწის გამოყენების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების სპეციალიზაციას და კონცენტრაციას. თუ სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სწორად გატარდება, მნიშვნელოვანი იქნება პროდუქციის მატება, შემცირდება მისი წარმოების ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება წლის განმავლობაში მუშახელის უფრო სრული და თანაბარი დასაქმება, ამით ამაღლდება ბუნებრივი რესურსების და წარმოების საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა.

მიწის სწორი გამოყენებისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ სოფლის მეურნეობის მეცნიერებმა. მათ უნდა გამოიყენონ სხვადასხვა კულტურის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები და ახალი უფრო პროდუქტიული ჯიშის პირუტყვი. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფა და ეკონომიური მუშაობის გაუჯობესება, კვალიფიციური კადრების მომზადება და ბევრი სხვა პრობლემის შემუშავება და ზადაწყვეტა.

მიწის ეკონომიური შეფასება და მისი რესურსების რაციონალური გამოყენება. სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა დამოკიდებულია მიწის ფონდების ზუსტ რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვაზე. აუცილებელია სოფლის მეურნეობის ბრუნვაში მოქცეული მიწის ხარისხობრივი მაჩვენებლების ცოდნა. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს ნაყოფიერების მიხედვით მიწის ზუსტ კლასიფიკაციას, მისი სტრუქტურის განსაზღვრას, ხარისხობრივი, რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით აღრიცხვას და ა. შ.

სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და სხვა ეკონომიური საკითხების გადაწყვეტისას საჭიროა წარმოების ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიური პირობების განვითარება. ამისათვის საკმარისი არ არის ამა თუ იმ მეურნეობაში არსებული მიწის ფართობის ოდენობის და მისი ხასიხასობის ცოდნა. სრულყოფილი აღრიცხვისა და შესწავლისათვის საჭიროა ხარისხობრივი განსხვავების რაოდენობრივად გაზომვა. ამისათვის აუცილებელია მიწის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის სრულყოფა. ასეთ მასალას იძლევა მიწის კადასტრი, რომელიც მოიცავს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს (მიწათმოსარგებლეთა მიხედვით მიწების რეგისტრაცია, რაოდენობრივი აღრიცხვა, ხარისხობრივი დახასიათება, ბონიტირება, ეკონომიური შეფასება, კადასტრული რუკების შედგენა). მოსარგებლეთა მიხედვით მიწის სახელმწიფო რეგისტრაცია და მისი რაოდენობრივი აღრიცხვა აისახება ქვეყნის მიწის ბალანსში.

მიწის ეკონომიური შეფასების საკითხებზე სსრ კავშირში მრავალი სამეცნიერო დაწესებულება და მეცნიერი მუშაობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიწის ეკონომიური შეფასების მეთოდიკა ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული და სრულყოფილი, ამიტომ რესპუბლიკებში მიწის ეკონომიური შეფასების საკითხის განხილვისას იყენებენ სხვადასხვა მაჩვენებლებს.

მიწის საერთო ეკონომიური შეფასების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გავრცელებული ნადაგების ეკონომიური შეფასების მონაცემები. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გავრცელებული ნადაგებიდან, საერთო პროდუქციისა და წმინდა შემოსავლის მიხედვით 100-ბალიანი შეფასება მიიღო ალუვიურმა ტყე-მდელო ნიადაგებმა. მათთვის შერჩეულ ტიპიურ კოლმეურნეობათა მონაცემებით, ალუვიური ტყე-მდელო ნიადაგების სახნავის თვითეული ჰექტარიდან მიღებულმა საერთო პროდუქციამ 420 მანეთი, ხოლო წმინდა შემოსავალმა 193 მანეთი შეადგინა. ნაყოფიერების მიხედვით ამ ნიადაგების შემდეგ მოდის ალიგიური ნიადაგები, რომელთა თვითეული ჰექტარიდან მიღებულია 313 მანეთის საერთო პროდუქცია და 119 მანეთის წმინდა შემოსავალი. შესაბამისად მიღებულია: წაბლა ნიადაგებიდან — 170 და 49 მანეთი, შავმიწა ნიადაგებიდან — 121 და 50 მანეთი, ნეშომპალა ნიადაგებიდან კი 74 და 0 მანეთი და სხვ. ამრიგად, როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, სხვადასხვა ნიადაგები თავისი ნაყოფიერებით განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

მიწის ეკონომიური შეფასება აუცილებელი პირობაა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებისათვის, როგორიც არის: სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება და განლაგების გაუჯობესება, სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დამუშავება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ობიექტური დაგეგმვა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის სრულყოფილი ანალიზი, აგრეთვე სხვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხთა ობიექტურად გადაწყვეტა, რომელნიც ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სისტემატურ ზრდას.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ნიადაგების ტიპების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვითა და შესწავლით იქმნება სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოთა მიწის სრულყოფილი, ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენების პირობები. ეს ხელს შეუწყობს პროდუქციის წარმოების გადიდებას და სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

შ. ყიზილაშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

„ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ

გამრჯე მეაპარატე

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲗᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ მეცხრე ხუთწლედის ორი თვის გეგმა ვადამდე შეასრულა და რამდენიმე ასეული ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. მელითოფონეებმა შარშან რამდენჯერმე გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ათჯერ მიენიჭათ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ქიმიური, ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მოწინავე მეაპარატე ნოდარ გურეშიძე. იგი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს.

ბ. ᲑᲔᲠᲣᲨᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲓᲜᲐ — ᲛᲐᲡᲔᲑᲡ!

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ — ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ!

კალამიც საჭირდება ლაშქარს

ᲐᲛᲮᲣᲠᲝᲕᲜᲔᲠᲝᲑᲐᲨᲘ ხედავ თავის სისარულს და ბედნიერებას შრომის ადამიანი...

გინახავთ, მეგონა, ზვარისაკენ რომ მიეშურება! ჯერ კარგად არ არის გათენებული, მას კი სასხლავი აუღია ხელში და მიდის. და როგორ მიდის! ნეტავ მის გულში რაგახედეთ! გზაზე უსალმოდ და უღიმილოდ ვის გაუშვებს! რაღაც დიდ გრძნობას გადმოუხეთქია გულიდან, ვაჟას მინდისავით, ხეებსაც სურს მიესალმოს. მოეხვიოს. მიეფეროს. კვირტები დაუკოცნოს. მიდის.

ვაზები ელოდებიან.

დღეს სხვა აქვს ოსტატს.

რა საქმეა! რა სამუშაო! ვინც იცის, ვისაც ამის გაგება აქვს, ვინც ვაზს დამბობილებია, ვისაც ზვარისათვის ფიცი მიუცია, მხოლოდ ის მიუხვდება სასხლავად მიმავალ მეგენახეს, მას არ გაუკვირდება თუ ვიტყვით, რომ სხვა — ეს დიდი მეცნიერული შრომაა. ჰო, ნამდვილად მეცნიერული.

არა მარტო უნდა დაინახო რქა და კვირტი. უნდა ივრძნო, უნდა გამოიცნო. როგორ მიუმარჯვე მაკრატელს, სად გადაჭრი, რომელ კვირტს ენდობი...

ეს კვირტები ქვეყანას, ხალხს ეიმედება. ისინი სათვალავშია. ანგარიშში. მათმა ძალამ და მალამ ქორწილამდე, ლხინამდე, დიდ დღესასწაულებამდე უნდა მიაღწიოს. ამ კვირტების დოვლათით უნდა დალოცოს ხალხმა მამული. სადღეგრძელო უთხრას მოძმეს. დაძაბული შრომის შემდეგ კარგ ხასიათზე დადგეს. შეეგებ იგრძნოს.

ეს სხვლა! დიდი შრომის დასაწყისი. რამდენჯერ, რამდენჯერ, რამდენჯერ უნდა მიუბრუნდეს კიდევ ამ ვაზებს. უნდა მოეხვიოს, უნდა მოეფეროს. ხანდახან კიდევ ელაპარაკება. და ეს არის შრომა დიდი სიყვარულით, გატაცებით. ეს არის შრომა — ბედნიერება.

ხძინაგს და მაინც ვაზთან არის. რაღაცას ეუბნება. რაღაცას ეხმარება. ათამამებს. მხარში უდგას. სულს უბერავს... და ვაზის დიდოსტატი ამას აკეთებს შინაგანი მოწოდებით. აკეთებს უხმაუროდ. აკეთებს მამულის ტრფიალში ყელამდე ჩამდგარი. უბრალო კაცი. უბრალო მეგენახე. იმედი ხალხისა და ქვეყნისა!

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წერილები — ვეკრეკნოთ, ავსაოთ ხუთწლედის გმირები, შრომის საუკეთესო ადამიანები!

ჟურნალისტები მოვლენების მაყურებელთა როლში არასოდეს ყოფილან. ყველაზე უმარველესად და ყველაზე ხშირად ისინი არიან შრომის ადამიანებთან. მე მინდა უბრალოდ, მოკრძალებით ვეთხრა ჩემს კოლეგებს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარმა უკანასკნელმა სასიამოვნო, ჯანსაღმა მოვლენებმა, ჩვენც, ჟურნალისტებსაც, დაგვაკისრა ბევრი რამ ახალი, მებრძოლური.

როგორ მინდა ჩემი მეგენახის სიბეჯითით ვშრომობდეთ! კალმით ბრძოლა ადვილი არ არის! მინდა სიტყვებს ისევე ვარჩევდეთ, როგორც მეგენახე ადამიანებთან ვიყოთ. ჩვენი მოუსვენარი, მაძიებელი რაზმიდან ვის ეწყინება, თუ ვიტყვით, რომ ჟურნალისტიკა უთუოდ დიდ ვალშია შრომის ადამიანების წინაშე. ისინი, ჩვენი დღის შესანიშნავი გმირები გაცილებით მეტი სითბოს, სიყვარულის, ჩვენი თაგვამეტების ღირსი არიან.

მოწოდებანი არ გვაკლია! მთავარია გულდადნდობა. მთავარია გმირის კარგად გაცნობა, ყოველმხრივ გაცნობა. ო, ეს მივლინებები! ერთი ღღიო... სასწრაფოდ! ჩვენ მცირე, ძალიან მცირე ხნით ვხვდებით ბევრ ადამიანს. ათასგვარ ფაქტს ვიწერთ ბლოკნოტში. ფურცლებზე ზოგჯერ იმდენი ციფრებია, არითმეტიკული სავარჯიშო გვეონება. ყველაზე და ყველაფერზე ცოტ-ცოტა ჩავიწერეთ. ვჩქარობთ. ადამიანის გულში და სულში საკმაოდ არ ჩავიხედეთ. საკულდაგულოდ არ გავჩერდით შრომის ადამიანთან. გამოდის, რომ ჯეროვანი პატივი არ ვეცით მას.

მერე ვწერთ და არა ვართ კმაყოფილი. ჩვენი საკუთარი შრომით არ განვიცდით ისეთ სრულ და ნამდვილ სიამოვნებას, როგორც მევენახე ზვარში რომ ტრიალებს და თავისა საქმისა ყველაფერი იცის. ყველაფერი იცის და ამიტომ არის ბედნიერი. ის უბრალოდ არ ასრულებს თავის მოვალეობას. ის გულანრილი არასოდეს არის. სულ ღანიცდის! მთელი არსებით განიცდის.

ასეთი ადამიანი ცხოვრების დიდი მასწავლებელია. მე მუშლს ვიდრეკ მის წინაშე! ჩვენც უნდა ვასწავლობდეთ მისგან მოვალეობის სიყვარულით და გატაცებით შესრულებას.

რატომ არ უნდა გავჩერდეთ ზვარში. უფრო გავეშინაურდეთ, დავუახლოვდეთ გმირს. ზვარის შესასვლელთან რომ ქოხია, იქაც უნდა გაჩერდეს ადამიანი რთულია. იგი რაღაც ხიდუმლოებას, რაღაც ახალს ამოიცნობს ფოთოლთა ჩურჩულიდანაც, როცა გმირის გარემოში დიდხანს ჩრები, რა თქმა უნდა განცდით რჩები, აღოსვები, მდიდრდები ახალი შთაბეჭდილებებით. ბევრი რამ მანამდე შეუცნობი გულსა და გონებაში იწერება.

ლიტერატურული ბლოკნოტი აუცილებელი ფაქტების ხიუსტისათვის შეიძლება მოიშველიოთ.

გავდივართ ველად. მთელი მრავალფეროვანი სამყაროა ჩვენს წინაშე. და მთავარი გმირი — ადამიანი. ტრაქტორისტი. მთესველი... ჭირის დროს მკაფიოდ უნდა იდგეს ჩვენს წინაშე მშრომელი. მას უნდა ვეუღერნათ გულიდან ამოღებული სიტყვა.

საითაც გაიხედავ, ამაღელვებელი თემაა! საითაც გაიხედავ, ხუთწლედის გმირთა მთელი ლაშქარია. მარტენის ღუმელთან იბრძვიან. განვიცადოთ ჩვენც მეფოლადის შრომა, ერთი კარგად განვიცადოთ და დავრწმუნდებით, როგორი სიტყვა ეკუთვნით მათ. როგორი მსურვალე! როგორი ნაკეცდობის! როგორი დნობის!

რა საოცარი ამბები ხდება ჩვენს ხამეცნიერო დაწესებულებებში. ხალხი ახლა განათლებულია. ბევრ რამეზეა ინფორმირებული სხვადასხვა არსით. ხოლო შემოქმედი ადამიანის დასატვა ჩვენი ვალია. ხატვა სიმარტლეთ, ზომიერი, მეტყველი ფერებით. ხატვა ისე, რომ ათასობაში ალანთოს სურვილები, მისწრაფებები. ხატვა, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო ენთუზიაზმს, რომელიც მკითხველს გულერილს არ დატოვებს.

ხუთწლედს — მთელი ჩვენი ენერგია! — ეს ჩვენი ღღეების დევიზია. ვხედავთ, როგორ ირაზმებიან ადამიანები. პატრიოტული მოწოდების პასუხად მემინდვრეები უფრო ათამამებენ ჯეჯილს. ფერმებში იწვლება მეტი რძე. შახტებიდან ამოაქვთ მეტი ქვანახშირი და მარგანეცი... მეცნიერება აჩქარებს ახლისაკენ გზის გაკაფვას. ყველგან შეიჭრა სიახლე. ჯანსაღი, ღონიერი სიახლე. მანკიერებანი ხაჭარაზე ბამოაქვთ. პირდაპირ, მტკიცედ ებრძვიან შეფერხებებს.

ასეთ დროს ხაერთო ფერხულში, ხაერთო ლაშქარში ყოფნა საამაყოა. საამაყოა და საპასუხისმგებლოა. მაგ, ხუთწლედს — მთელი ჩვენი ენერგია! ხოლო განა პატარა ენერგია აქვს კალამს, სიტყვას! როგორ სჭირდება ის ხალხს, პარტიას.

სჭირდება და ჩვენც მზადა ვართ!

ვლ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ.

17-18 ᲛᲐᲠᲢᲘ — ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲐ

ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲙᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲛᲗᲠᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲡᲠᲔᲑᲖᲔ

დოლი ყიზლარში

ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ზღვის სანაპიროზე გაშლილი ნოღაეთის საძოვრები ასეულ ათასობით ჰექტარს მოიცავს. მარტო ჩვენი რესპუბლიკის — დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგის, თიანეთის, ჭაევს რაიონებს აქ 320 ათასი ჰექტარი საძოვარი უჭირავთ, სადაც წელს იმყოფება 300 ათასზე მეტი ცხვარი, აქედან დედაცხვარია 160 ათასი. ახლა მეცხვარეობის ფერმებში დოლი დაიწყო.

ამ დღეებში ჩვენი გაზეთის თანამშრომელი შ. ჭოჭუა ტელეფონით დაუკავშირდა ყიზლარის საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ა. კობაიძეს, რომელმაც გვიამბო, რომ წელს საძოვრებზე მყოფ დედაცხვრებს დოლისათვის ყველა პირობები აქვთ შექმნილი. მარტო კომბინირებული საკვები ადგილზეა 10.400 ტონაზე მეტი. ამ დღეებში კიდევ მიიღებენ 1.500 ტონას. საკმაო რაოდენობით არის თივა, ნამჯა. დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ლენინგორის, ჭაევს რაიონების მიერ დოლისათვის დამატებით გამოყოფილი არიან მწყემსები.

ახლა მეცხვარეები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ წარმატებით ჩაატარონ დოლი, მიღებული ნამატი მთლიანად შეინარჩუნონ, მარტო პირველ დღეებში მიღებული 35 ათასი ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია.

დოლისათვის ყველა პირობა შეუქმნიათ ყაზბეგის რაიონის მეცხვარეებს. აქ 58.000 დედაცხვარია. უკვე მიღებულია 12 ათასი ბატკანი.

დუშეთის რაიონის მშრომელებს ცხვრის მოვლა-პატრონობის გამოცდილება არ აკლია. ხარ-ვეზარზე მათ ჰყავთ 50 ათასი დედაცხვარი. წელს მიღებულ 11.800 ბატკანს კარგად უვლიან, სიკვდილიანობას ადგილი არა აქვს.

დიდი შრომა გაუწევიათ ლენინგორის რაიონის მეცხვარეებს. მათი 37.600 დედაცხვარი „ზამთრებს კასპისპირეთის საძოვრებზე. კარგი თივა, ნამჯა, კომბინირებული საკვები საკმაო რაოდენობით მოუმარაგებიათ

საქართველოს ხმა

ГРУЗИНСКОЕ ЭХО

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინი

ლაიფციგის საგაზაფხულო

14 მარტი. (საკდესი). ლაიფციგში მუშაობას განაგრძობს საგაზაფხულო ყოველწლიური საერთაშორისო ბაზრობა.

ათასობით სტუმრებთან და დამთვალიერებლებთან ერთად მის ექსპონატებს გაიცნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის (ენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

ბაზრობაზე გაჩაღებულია მოლაპარაკება სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის, ექსპერტთა შეხვედრები და მიმდინარეობს კონტრაქტების დადება. მაგალითად, აქ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას 1973-75 წლებში 130 მილიონი მანეთის საბჭოთა ბუნებრივი გაზის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მიწოდების შესახებ.

პრეს-კონფერენციები გაიმართა სოციალისტურ სახელმწიფოთა პავილიონებში.

ჰანოი შრომობს

უდიდესი ენთუზიაზმით შრომობენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ჰანოის მშრომელები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ლონგბიენის ხიდის აღდგენა წითელ მდინარეზე (სურათზე).

ვია-საკდესის ფოტო.

ბუენოს-აირესი

პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გამო

14 მარტი. (საკდესი). „განთავისუფლების ხუსტიციალისტური ფრონტის“ პრეზიდენტობის კანდიდატი ექტორ კამპორა გამოცხადებულია გამარჯვებულად გასულ კვირას არგენტინაში გამართულ არჩევნებში.

ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას ახლანდელმა პრეზიდენტმა ალეხანდრო ლანუსემ განაცხადა, რომ „განთავისუფლების ხუსტიციალისტური ფრონტის კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობა „იმდენად ახლოა“ პირველ ტურში არჩევისათვის საჭირო ხმების რაოდენობასთან (50 პროცენტი პლუს ერთი ხმა), ხოლო მან იმდენად გაუსწრო სხვა კანდიდატებს, რომ „შეცდომა არ იქნება, თუ ე. კამპორას აღიარებენ გამარჯვებულად“. ლანუსემ განაცხადა, რომ ახალი პრეზიდენტი ამა წლის 25 მაისს დაიკავებს პოსტს.

11 მარტს 14 მილიონამდე არგენტინელი მივიდა საარჩევნო ყუთებთან. მათ აირჩიეს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ავრეთვე რამდენიმე წლის წინათ დათხოვნილი ეროვნული კონგრესის წევრები. მთავარი მეტოქეები არჩევნებში იყვნენ „განთავისუფლების ხუსტიციალისტური ფრონტი“, ხალხის სამოქალაქო რადიკალური კავშირი და „რევოლუციური სახალხო კავშირი“, რომელსაც მხარს უჭერდნენ მემარცხენე პარტიები.

„განთავისუფლების ხუსტიციალისტური ფრონტის“ საარჩევნო კოალიცია აერთიანებს არგენტინის ყოფილი პრეზიდენტის ხუან პერონის მომხრეებს და ზოგიერთი სხვა დაჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმას ემხრობიან. ამიტომ „განთავისუფლების ხუსტიციალისტური ფრონტის“ წინასაარჩევნო პროგრამა ფრიად ბუნდოვანი და წინაღმდეგობრივი დოკუმენტია. არგენტინის მომავალი პრეზიდენტი 64 წლისაა. იგი რამდენიმე წელიწადს იყო დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო ბოლო დროს — ხ. პერონის წარმომადგენელი არგენტინაში, რომელიც მუდამ მადრიდში ცხოვრობს.

არგენტინის მემარცხენე ძალები არჩევნებში ხმას აძლევდნენ „რევოლუციური სახალხო კავშირის“ კოალიციას, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში შეიქმნა. ამ კავშირში შევიდნენ შეორიგებელთა პარტია, რევოლუციურ-ქრისტიანული პარტია და „წინსვლის სახალხო კავშირი“. ამ კოალიციას მხარს უჭერდა აგრეთვე არგენტინის კომუნისტური პარტია, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაშია. „რევოლუციურ სახალხო კავშირს“ ყველაზე მეტად დაუჭერეს მხარი დედაქალაქსა და ბუენოს-აირესის პროვინციაში.

ვაშინგტონი

უთანხმოებანი ისევ რჩება

14 მარტი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გააკრიტიკა პრეზიდენტ რ. ნიქსონის განცხადება, რომელშიც განმარტებულია მისი შეხედულებანი აღმასრულებელი ხელისუფლების პრივილეგიებზე.

ნიქსონი აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტის გამოქვეყნება გამოწვეულია შეკითხვებით და მოთხოვნებით, რომ „სხვადასხვა უწყების თანამდებობის პირნი ცხადდებოდნენ კონგრესის კომისიაში ჩვენებების მისაცემად“.

მთავრობის საერთო პოლიტიკა ამ დარგში, ნათქვამია ჯანცხადებაში, შემდგომ ოთხ წელიწადში ისეთივე დარჩება, როგორსაც ადმინისტრაცია ახორციელებდა 1969 წლიდან. სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლებს აკრძალული ექნებათ კონგრესში ჩვენებების მიცემა იმ შემთხვევებში, როცა „ამა თუ იმ ცნობის გამეღავნება ზიანს მოუტანდა ქვეყნის უშიშროებას“. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება პრეზიდენტის თანამშრომელებისა და თეთრი სახლის სხვა თანამშრომლების გამოსვლებს.

ეს საკითხი უკვე დიდი ხანია წარმოადგენს იმ უთანხმოების ერთ-ერთ ძირითად წყაროს, რომელიც აშშ-ის კონგრესსა და თეთრ სახლს შორის არსებობს. მთელ რიგ კონგრესმენთა აზრით, მთავრობა ზოგჯერ თვითნებურად ფართოდ განმარტავს თეზისს „ქვეყნის უშიშროებისათვის ზიანის“ მიყენების შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის ჰ. კისინჯერისა და პრეზიდენტის მრჩეველის ჯ. დინის უარმა გამოსულიყვნენ კონგრესის კომისიებში საჭირო ახსნა-განმარტებებით.

ბონი

ანტისაბჭოურობის გაზაზე

14 მარტი. (საკდესი). გაზეთი „უნზერე ციტი“ წერს, რომ უკანასკნელ ხანს მკაფიოდ ვლინდება პეკინის ხელმძღვანელობისა და დასავლეთ გერმანიის ოპოზიციური პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერების აზრთა დამთხვევა ევროპის მთელი რიგი პოლიტიკური პრობლემების გამო.

„როგორც ცნობილია, შტრაუსი და შრედერი, აგრეთვე ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის სხვა ულტრამემარჯვენე ხელმძღვანელები, ისევე როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეოფაშისტური ძალები, წერს გაზეთი, გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებებს სსრ კავშირთან და პოლონეთთან, ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის შესახებ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სატრანსპორტო ხელშეკრულებას, რომლთა განხორციელებას ახლაც ხელს უშლიან“.

თავის მხრივ, „ჩინეთის ხელმძღვანელობა, სულ სხვადასხვა არგუმენტების საფუძველზე, უარყოფს მიზნად ისახავდა ხელი შეეშალა უკვე ხელმოწერილ ხელშეკრულებათა ძალაში შესვლისათვის და შეეფერხებინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის პოზიტიური განვითარება“. ამის უკან იმალებოდა, — წერს „უნზერე ციტი“, — შორს გამიზნული ზრახვები არ დაეშვათ შეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური შედეგების ცნობა, ხელი შეეშალათ ევროპაში ურთიერთსარგებლიანობის შენელებისათვის და ჩაეშალათ ევროპის უშიშროების საკითხების განხილვა“.

მაგრამ, როგორც ხაზგასმულია სტატიაში, „ჩინეთის ხელმძღვანელობის გეგმებს წარმატება არ მოპყოლია. ამიტომ მან ხელი არ აიღო თავის სტრატეგიულ მიზნებზე და შეუდგა ტაქტიკურ მანევრებს, რათა გამოსახოს რაიმე ახალი მიდგომა გერმანიის პრობლემისადმი. ჟეკინში უკვე აღარ ლაპარაკობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და მისი ინტერესების დაცვაზე. ამის ნაცვლად იმედს ამყარებენ, რაღაც ახალ ნაციონალიზმზე, ცდილობენ გაღვივონ რევანშისტული განწყობილებანი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გაზეთი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შტრაუსისა და შრედერის პოზიცია სრულიად ევრპის თათბირის საკითხებში ემთხვევა კრიტიკას, რომელსაც ამ თათბირის მიმართ გამოთქვამს პეკინის ხელმძღვანელობა. „შტრაუსი, შრედერი და ჩინეთის პარტიული ხელმძღვანელობა შეხმატკბილებულად გამოდიან სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სისტემის წინააღმდეგ, ისინი ერთსულოვნად ისწრაფვიან ჩამოაშორონ ევროპის სოციალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირს“, — ნათქვამია სტატიაში.

„ანტისაბჭოურობა ის პლატფორმაა, რომელზეც ჩინეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკა ერწყმის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველაზე რეაქციული რევანშისტული და თვით ნეონაციისტური ძალების პოლიტიკას“, — აცხადებს გაზეთი.

ანკარა

წარუმატებელი კენჭისყრა

14 მარტი. (საკდესი). გამართული კენჭისყრის ოთხ ტურს წარმატება არ მოუტანია თურქეთის პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატისათვის.

თურქეთის კონსტიტუციით, პრეზიდენტს ირჩევენ პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. თუ კენჭისყრის პირველი ორი ტურის დროს არც ერთი კანდიდატი ორ მეოცედს საჭირო ორი მესამედი ხმების უმრავლესობას, შემდეგ ტურებში პრეზიდენტობის კანდიდატისათვის ასპირიანად საკმარისი იქნება მოაგროვოს абсолютური უმრავლესობა ე. ი. ხმების 50 პროცენტზე მეტი.

ყველაზე მეტი ხმა — 276 მეოთხე ტურის დროს მისცეს პარლამენტის სენატის თავმჯდომარეს ტექინ არიბურუნს. გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა სენატორმა ფარუკ გურსელმა მიიღო 200 ხმა და დემოკრატიული პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ ფერუკ ბოზბეყლიმ — 48.

ანკარა. 14 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტის არჩევნების მეხუთე ტური, რომელიც დღეს უნდა გამართულიყო, 48 საათით გადადდა. ეს განაცხადა აქ მეჯლისის თავმჯდომარემ ხალით ოსმანოგლუმ.

ვის ჭირდებოდა «პლებისციტი» ოლსტერში

საკდესის კომენტარი

ლონდონი გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, 8 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიაში გამართული „პლებისციტის“ დროს იმ საკითხზე, დარჩეს ოლსტერი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ნაწილად თუ შეუერთდეს ირლანდიის რესპუბლიკას, ამომრჩეველთა დაახლოებით 60 პროცენტმა მხარი დაუჭირა იმას, რომ ჩრდილოეთ ირლანდია დარჩეს შეერთებული სამეფოს შემადგენლობაში.

პლებისციტის ასეთ შედეგს არავინ არ გაუოცებია. უფრო მეტიც, იგი, ასე ვთქვათ, დაპროგრამებული იყო, რადგან ოლსტერის მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენენ პროტესტანტები, რომლებიც ძირითადად მხარს უჭერენ უნიონისტურ პარტიას, ესე იგი ბრიტანეთთან „უნიის“ მომხრე პარტიას.

ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ არ ააყოვნა გამოეცხადებინა რეფერენდუმის შედეგები როგორც „ხალხის მტკიცე ნება-სურვილის გამოვლინება“ და ოლსტერის მამართ ლონდონის პოლიტიკის „სისწორის აღიარება“.

ასეა კი სინამდვილეში? დავიწყოთ იმით, რომ საკითხი, დარჩეს ოლსტერი შეერთებული სამეფოს შემადგენლობაში თუ შეეერთოდეს ირლანდიის რესპუბლიკას, — ეს მხოლოდ იმ პრობლემის ნაწილია, რომელთა გამო ჩრდილოეთი ირლანდია აი უკვე ოთხი წელიწადია, 1969 წლის აგვისტოდან, როცა იქ შეიყვანეს ბრიტანეთის საოკუპაციო კორპუსი, წარმოადგენს ღია, სისხლიან ჭრილობას. ყველა ამ პრობლემას საფუძვლად უდევს ბრიტანეთის აშკარად ნეოკოლონიალისტური პოლიტიკა ჩრდილოეთ ირლანდიის მიმართ.

მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო, რომლებიც ჯერ კიდევ ბრიტანეთიდან მოსული პროტესტანტების მიერ ირლანდიის დაპყრობის პერიოდიდან მომდინარეობენ, ოლსტერის ექვსი საგრაფოს კათოლიკური მოსახლეობა, რომლებიც ინგლისს „ერგო“ 1921 წელს ირლანდიის სისხლიანი გაყოფის შედეგად, ელექტორალურ დემოკრატიულ და ადამიანის უფლებებს მოკლებული აღმოჩნდა.

უკვე პირველმა დამპყრობლებმა — პროტესტანტებმა და მათ მიერ დაფუძნებულმა „ორანჟისტთა ორდენმა, შემდეგ კი „ხალხის სხვადასხვა რჩეულმა“- — იზრუნეს იმისათვის, რომ კათოლიკებს, რომლებიც ახლანდელი ოლსტერის მოსახლეობის მესამედს შეადგენენ, უმთავრესად ქონებრივი ცენზის გამო არ ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ და არჩეული ყოფილიყვნენ ჩრდილოეთ ირლანდიის ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე იმისათვის, რომ მათ შეედგინათ მიწათმოქმედებისა და მრეწველობისათვის ძაფი მუშახელის რეზერვი.

სწორედ იმ ლოზუნგებით, რომლებიც მოითხოვდნენ კათოლიკური მოსახლეობის უუფლებო მდგომარეობის ლიკვიდაციას, სიღატაკისა და უმუშევრობის აღმოფხვრას, გაიშალა ოლსტერში მასობრივი მოძრაობა მოქალაქეობრივ უფლებათა დასაცავად. ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო პროტესტანტული მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმაც, რომელიც ვერ დააშინეს ორანჟისტებმა და რომელსაც აღარ სწამს მტკიცებანი, თითქოს კათოლიკეს სურდეთ... პროტესტანტი მშრომელებმა „ორანჟისტთა ორდენის“ „ერთ-ერთ ციხეს“ ეფლებებს უზურპატორება“.

მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვის მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს ოლსტერის მთელმა რიგმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის ირლანდიის კომუნისტურმა პარტიამ, პროფკავშირთა ბევრმა აქტივისტმა და რიგითმა წევრმა.

მოძრაობის ჩასახვამდე გაგზავნეს „ორანჟისტთა ორდენის“ გასაძხელებლად ორგანიზაციები, ხოლო მათი ამოცანის შესასრულებელად პროტესტანტმა და ორანჟისტმა ლიდერებმა დაიწყეს რელიგიური შეღლის გაღვივება პროტესტანტ და კათოლიკ მშრომელებს შორის. ბორბალგაზრახულ მტკიცებებს, თითქოს ოლსტერის ტრაგედიას საფუძვლად ედოს „რელიგიური შეღლი და შეუწყნარებლობა“, ავრცელებდა ინგლისის ბურჟუაზიული პროპაგანდაც.

მიუხედავად ამისა მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვის მოძრაობა ძალას აკრებდა, და მაშინ ინგლისის მთავრობამ ოლსტერში შეიყვანა საოკუპაციო კორპუსი, თითქოსდა „სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად“. ოლსტერში შეიღებ საგანგებო წესები, დაიწყო მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის დაპატიმრება, რომლებსაც გაუსამართლებლად და გამუქებულად ამწყვდევდნენ და ახლაც ამწყვდევენ სასტიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში.

ბრიტანელმა ჯარისკაცებმა და პროტესტანტმა „ულტრებმა“ დღეისათვის ოლსტერში დახოცეს 800-მდე კაცი, მათ შორის ბევრი ბავშვი და ქალი. ტერორი თავს დატყდა „ურჩ“ კათოლიკურ მოსახლეობას. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლნი ყოველთვიურად ამტკიცებდნენ, რომ „ნამდვილ დაშოშმინებას ვეს-წრაფვითო“. „ანაარალებენ „ორანჟისტთა ორდენის“ გასამხედროებული რაზმების წევრები.

ამასთან ბრიტანეთის ხელისუფალნი იმიზეზებენ... დემოკრატულ ტრადიციებს, თუმცა ამ „ტრადიციებმა“ ხელი არ შეუშალეს 1972 წლის მარტში დაეთხოვათ ჩრდილოეთ ირლანდიის სტორმონტის (პარლამენტი) და შემოეღოთ ინგლისის მთავრობის „პირდაპირი გამგეობა“ ამ ავტონომიურ პროვინციაში.

ამის ასაღებდნენ აგრეთვე გადამწყვეტ ლონისძიებად ოლსტერის მდგომარეობის „შოწესრიგების“ მიზნით. მაგრამ სინამდვილეში მან მხოლოდ გააღრმავა სამხედრო და პოლიციური ტერორი და გააძლიერა ირლანდიის რესპუბლიკური არმიის რაზმების შეიარაღებული წინააღმდეგობა, რომლებიც იძულებული გახდნენ ემოქმედათ, რათა როგორმე დეიცვათ ბელფასტის, ლონდონდერისა და სხვა ქალაქების კათოლიკური გეტოების მოსახლეობა დამსჯელებისა და დამრბევებისაგან — ბრიტანელი ჯარისკაცებისა თუ პროტესტანტი „ულტრებისაგან“.

როცა ინგლისის მთავრობა დარწმუნდა, რომ „რკინის მუშტის“ სისხლიან პოლიტიკას ოლსტერში არ ძალუძს გადაწყვეტა ამ პროვინციის პრობლემები და აწყვეტს მხარდ აღმფოთებას არა მარტო ჩრდილოეთ ირლანდიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მან გამალებით დაიწყო ამ ბრძოლის ძიება, თუ როგორ დააღწიოს თავი ძმიმე პასუხისმგებლობას.

სწორედ მაშინ წარმოიშვა „პლებისციტის იდეა“ ამ მიზნით, რათა ეჩვენებინათ, თუ რა „საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერია“ სარგებლობს გაკტრებული პოლიტიკა.

ბურჟუაზიული პრესის ბერრორგანის აზრითაც კი, ამ „რეფერენდუმის“ „შედეგები“ არავის და არაფერზე არ არწმუნებს, მით უმეტეს, რომ იგი მიეწყო 30-ათასიანი „უშიშროების ძალების“ ავტომატების ლულების ჩრდილში.

რაც შეეხება ოლსტერის კათოლიკურ მოსახლეობას, მან უბრალოდ ბოიკოტი გამოუცხადა „რეფერენდუმს“, რადგან შესანიშნავად ესმოდა, რომ მის ავტორებს აზრადაც არ ჰკრნიათ მოაშუშონ ოლსტერის სისხლიანი ჭრილობები, არამედ ესწრაფვოდნენ მიეღოთ ახალი „ქანონიერი“ საბაბი, რათა განაგრძონ კათოლიკური უმცირესობის ჩაგვრისა და ირლანდიის გათიშვის პოლიტიკა.

□

ლონდონი. 14 მარტი. (საკდესი).

ინგლისელი ჯარისკაცები და „უშიშროების ძალები“ დღეს აწარმოებენ მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებებს, ცდილობენ იპოვონ ლონგ-ქუშის საკონცენტრაციო ბანაკის ტუსალი ჯეიმს კელი, რომელმაც მოახერხა გაქცეულიყო პოლიციელთა და აგენტთა კორდონით გარშემორტყმულ საპატიმროდან.

ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქის ბევრ რაიონში შექმნილია საფრენი. კათოლიკური უბნებში ჯარისკაცები ჩხრეკენ ჭუჭრებსა და სახლებს. უკვე დაპატიმრებულია 10-მდე ადგილობრივი მცხოვრები, რომლებზეც ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ ირლანდიის რესპუბლიკური არმიაში შედიან. მთავაც მოელოდ ლონგ ქუშში დამწყვდეულ, სადაც იტანჯება ასობით ირლანდიელი, რომლებიც ერთ-ნახევარი-ორი წლის წინათ დაპატიმრეს „საგანგებო რწმუნებულებათა კანონის“ საფუძველზე. მათთვის აქამდე არ წაუყენებიათ ბრალდება.

ამასობაში ოლსტერის სხვადასხვა ქალაქში გრძელდება შეტაკებანი ჯარისკაცებსა და ირლანდიელებს შორის. ლონდონდერში ოლოლის დროს რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები დაიჭრა.

ვაშინგტონი

უპირველესი ისევ რჩება

14 მარტი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გააკრიტიკა პრეზიდენტ რ. ნიქსონის განცხადება, რომელშიც განმარტებულია მისი შეხედულებანი აღმასრულებელი ხელისუფლების პრივილეგიებზე.

ნიქსონი აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტის გამოქვეყნება გამოწვეულია შეკითხვებით და მოთხოვნებით, რომ „სხვადასხვა უწყების თანამდებობის პირნი ცხადდებოდნენ კონგრესის კომისიაში ჩვენებების მისაცემად“.

მთავრობის საერთო პოლიტიკა ამ დარგში, ნათქვამია ჯანცხადებაში, შემდგომ ოთხ წელიწადში ისეთივე დარჩება, როგორსაც ადმინისტრაცია ახორციელებდა 1969 წლიდან. სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლებს აკრძალული ექნებათ კონგრესში ჩვენებების მიცემა იმ შემთხვევებში, როცა „ამა თუ იმ ცნობის გამეღავნება ზიანს მოუტანდა ქვეყნის უშიშროებას“. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება პრეზიდენტის თანამშრომლებისა და თეთრი სახლის სხვა თანამშრომლების გამოსვლებს.

ეს საკითხი უკვე დიდი ხანია წარმოადგენს იმ უთანხმოების ერთ-ერთ ძირითად წყაროს, რომელიც აშშ-ის კონგრესსა და თეთრ სახლს შორის არსებობს. მთელ რიგ კონგრესმენთა აზრით, მთავრობა ზოგჯერ თვითნებურად ფართოდ განმარტავს თეზისს „ქვეყნის უშიშროებისათვის ზიანის“ მიყენების შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის ჰ. კისინჯერისა და პრეზიდენტის მრჩეველის ჯ. დინის უარმა გამოსულიყვნენ კონგრესის კომისიებში საჭირო ახსნა-განმარტებებით.

ნიუ-იორკი

პროცესი ქალაქ ერში

14 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბაიდაშინი იუწყება: პენსილვანიის შტატის ქალაქ ერში სასამართლო პროცესზე ვინმე უ. პატერის საქმის გამო, რომელიც გარეულია მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის ცნობილი ლიდერის ჯ. იაბლონსკის მკვლელობაში, დამთავრდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევა.

ბრალდება აპირებს დაიწყოს მოწმეთა გამოკითხვა, რომელთა სიაში შეტანილია 103 პირი. მათ შორის არიან იაბლონსკის მკვლელობის უშუალო შემსრულებელი — ამჟამად მსჯავრდებული, პროფკავშირის ყოფილი თავმჯდომარე უ. ბოილი, რომელიც დაპატიმრებულია კორუფციისა და პროფკავშირული სახსრებით უკანონო მაქინაციებისათვის.

პატერი პროფკავშირის აღმასკომის წარმომადგენელი იყო ტენესის შტატში. მას ბრალად ედება, რომ დაქირავებულ მკვლელებს გადასცა გასამჯილო დანაშაულის ჩადენისათვის. მისგან ორასი მიდის იაბლონსკის მკვლელობის მთავარ სულისჩამდგმელებთან. ამასწინათ პენსილვანიის სასამართლო ხელისუფლებამ პირველად ოფიციალურად აღნიშნეს, რომ ბინძური მკვლელობისათვის 20 ათასი დოლარი მკვლელებს გადასცეს ბოილის პირადი განკარგულებით.

წინასწარი გამოძიების დროს ერთ-ერთმა დაქირავებულ მკვლელმა ვილიამ, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული და მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, მოიყვანა ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც შეეძლო ეჩვენებინა იაბლონსკის მკვლელობის სულისჩამდგმელებს.

1969 წლის იანვარსა, ბოროტმოქმედების ჩადენამდე ხუთი თვით ადრე, ვილიამისათვის მიუმართავს ქალაქ პროფკავშირული მოღვაწის მკვლელობის მეორე ყოფილ აღმასრულებელს ბილის, რომელიც წარსულში ნასამართლევი იყო მკვლელობისათვის. „ბილიმ მითხრა, რომ სამუშაოდ ერთი კვირის თავიდან მოშორება, რისთვისაც ქარგ გასამრჯელოს მივიღებთო. მან შემომთავაზა ოპერაციაში მონაწილეობა“, ამბობს ვილი. მალე ოპერაციაში ჩაბეს მეორე პირწავარდნილი ბოროტმოქმედი მარტინი.

ამ დროს კი მაღაროელთა გაერთიანებულ პროფკავშირში გამოლეთნა საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა პროფკავშირის ახალი თავმჯდომარის ასარჩევად. არჩევნებზე ძველ თავმჯდომარეს ბოილს მაშინ სერიოზული საფრთხეს უქმნიდა იაბლონსკი, რომლის თავიდან მოშორების ბრძანებაც გასცეს.

იაბლონსკის, მისი ცოლისა და ქალიშვილის მკვლელობა მოხდა სწორედ 1970 წლის დამდეგს, იმ დროს, როცა იაბლონსკი იწყებდა არჩევნების საიქიო შედეგების ვადასინჯვის კამპანიას. არჩევნებში სხვადასხვა მაქინაციისა და ხმების წამატების მეთხებით ბოილმა მოახერხა უმრავლესობის მიღება.

ფაქტები ადასტურებენ

ნიუ-იორკი. 14 მარტი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. მაგიდმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოიყვანა დამატებითი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ისრაელის სამხედროსაპაერო ძალებმა განზრახ ჩამოაგდეს ლიბიის ავიაკომპანიის სამგზავრო თვითმფრინავი.

როგორც ეგვიპტის წარმომადგენელმა განაცხადა, ისრაელის სამხედრო მფრინავმა, რომელმაც თვითმფრინავი ჩამოაგდო, აღიარა, რომ იგი ცეცხლს უშენდა თვითმფრინავის ფრთებს.

ავიაგამანადგურებელ მფრინავს, ხაზგასმულია წერილში, არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ „ბოინგის“ ტიპის თვითმფრინავის ფრთებში მოთავსებულია ხანგამოვანი ავზები.

იაპონელ მშრომელთა შეტევა

ამ ოდენარე წელს თვენახევრით ადრე დაიწყო იაპონის მშრომელთა საგაზაფხულო შეტევა. საგაზაფხულო ბრძოლის ჩატარების კომიტეტმა, რომელშიც შედიან ქვეყნის მთელი რიგი პროფკავშირული გაერთიანებები, ეკონომიურ ლოზუნგებთან ერთად დასახა პოლიტიკური ამოცანებიც: სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთათვის გაფიცვების მოწყობის უფლების მინიჭება; იაპონია-ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ხელშეკრულების ლიკვიდაცია, ქვეყნის მილიტარიზაციის გეგმების ანულირება.

ცდილობენ რა ჩაშალონ მშრომელთა საგაზაფხულო ბრძოლა, ქვეყნის მმართველი წრეები ამ დღეებში პირველ შეტევაზე გადავიდნენ და 16 ათას პროფკავშირულ აქტივისტს სხვადასხვა სახის რეპრესიები დაატეხეს თავი. ხაქმე, იქამდე მივიდა, რომ სამუშაოდან დაითხოვეს პროფკავშირის წევრები გასული წლია დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის. მაგრამ ამ რეპრესიებმა ვერ შეანელეს იაპონელ მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის.

სურათზე: გაზეთის მუშები პროტესტს აცხადებენ პროფკავშირული აქტივისტების დათხოვნის წინააღმდეგ.

ჯაპან პრეს-საკდესის ფოტო.

ზოლიდ

● **გათავისუფლებულ ნეაპოლიტანთა** ჯგუფი იტალიის ქალაქ პალერმოში თავს დაესხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. ხელკეტებით, რკინის წნელებითა და ჯაჭვებით შეიარაღებული შავხალათიანები შეიჭრნენ შენობაში, სადაც სტუდენტთა საერთო კრება მიმდინარეობდა, და ცემა დაუწყეს მათ. თავდასხმის დროს დაშავდა აგრეთვე უნივერსიტეტის რექტორი ჯ. ლა გრუტა, რომელიც სტუდენტთა კრებას ესწრებოდა.

● **ვენესუელის ზიდა რაიონებში** გრძელდება ძლიერი გვალვა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ეკონომიკას. ზოგიერთ ქალაქში ნორმირებულია სასმელი წყლის გაცემა. სიცხე ამ რაიონში 40 გრადუსს აღწევს.

● **დასავლეთ გერმანიის** პოლიციამ დაპატიმრა ორი ამერიკელი ჯარისკაცი — ჰანაუს საიუველირო მაღაზიის გაძარცვის მონაწილენი. დაპატიმრების დროს მათ ალმოაჩნდათ ათობით საათი, აგრეთვე ბეჭდები და სხვა საიუველირო ნაკეთობანი.

● **30 წლის კათოლიკე** ედვარდ შარპი ბრიტანელმა ჯარისკაცმა მოკლა ბელფასტის კათოლიკურ რაიონში. ამავე ღამეს ბელფასტის ჰოსპიტალში გარდაიცვალა 16 წლის ალექსანდერ უელში, რომელიც მძიმედ დაიჭრა ორი კვირის წინათ ბომბის აფეთქების დროს.

● **მალაიზიის დედაქალაქში** მახლობლად აეროდრომზე მოხდა საავიაციო კატასტროფა. საჩენებელი გამოსვლების დროს მფრინავმა, რომელიც უმაღლესი პილოტაჟის რთულ ფიგურას ასრულებდა, თვითმფრინავი ვერ გამოიყვანა პიკიდან, და იგი დაეცა აეროდრომზე შეკრებილი ხალხის ჯგუფში. ამის შედეგად ექვსი კაცი დაიღუპა და ექვსი მძიმედ დაშავდა. დაიღუპა პილოტიც.

● **დაახლოებით 80 ათასი** განმაცალობაში მუშაობდნენ „კამისანაგავის (ჰოკაიდოს კუნძული) შახტის სამთომშენელები, რომ შეეღწიათ რამდენიმე დღის წინათ ნანგრევების ქვეშ მოყოლილ 6 მეშახტესთან. გადაარჩინეს მხოლოდ ერთი მუშა. დანარჩენები დაიღუპნენ.



ინდირა განდის გამოსვლა

14 მარტი. (საკდესი). ინდოეთის მთავრობასა და ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიას ცხადად აქვთ შეგნებული, რომ საჭიროა „მიაღწიონ ქვეყნის ნამდვილ ეკონომიურ დამოუკიდებლობას და დაამყარონ სოციალური სამართლიანობა მილიონობით ადამიანებისათვის“, — განაცხადა ინდირა განდიმ.

როგორც იუნის საგაზეთო ოუწყება, ინდირა განდიმ მოუწოდა განამტკიცონ ეროვნული ერთიანობა, რასაც „საარსებო მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვებისათვის“. ფართო გარდაქმნების განხორციელებისათვის, ქვეყნის სოციალური გარდაქმნისათვის ბრძოლა, აღნიშნა მან, ახალი ეტაპია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა მას შემდეგ, რაც ინდოეთმა პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა. მხოლოდ სოციალიზმის გზას, აღნიშნა ი. განდიმ, შეუძლია უზრუნველყოს ინდოელი ხალხის ეკონომიური თანასწორობა და აღკვეთოს სოციალური უსამართლობა.

შეეხო რა საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს, ი. განდიმ კვლავ დაადასტურა, რომ ინდოეთი მხარს უჭერს სამხრეთ აზიისა და მთელ მსოფლიოში.

ანკარა

ნეტარ ... ...

14 მარტი. (საკდესი). დღეს სამუშაოს შუბებთა და კვამლის ლოკებით შეიარაღებული ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ოკოოუუნიას“ წევრები შეიჭ

თბილისის გაზაფხული

მეგობროობის პროსპექტზე. ს. კილაძის ფოტო.

ბუნება და ჩვენ

თუ დავიცავთ, დაგვიცავს...

პროგლემა, რომელიც ყველას ეხება

როგორი იქნება ბუნებრივი გარემო 50-100 წლის შემდეგ? ადამიანის ცხოვრებისათვის ვარგისი დარჩება იგი თუ გაუარესდება მსოფლიო წარმოების სწრაფი განვითარების შედეგად?

გარემოზე წარმოების ზემოქმედების თანამედროვე მასშტაბი უდიდესია. ადამიანმა აითვისა და ექსპლოატაციას უწევს ხმელეთის ზედაპირის 55 პროცენტს, მდინარეთა წყლების 12 პროცენტზე მეტს. დედამიწის წიაღიდან ადამიანს ამოაქვს 100 მილიარდამდე ტონა მადანი, საწვავი ნამარხები და საშენი მასალები, ადამიანი აფნოს 800 მილიონამდე ტონა სხვადასხვა ლითონებს, აწარმოებს 40 მილიონამდე ტონა სინთეზურ ნივთიერებებს, მინდვრებში მიმოფანტავს 300 მილიონ ტონაზე მეტ მინერალურ სასუქებს და 4 მილიონამდე ტონა შხამქიმიკატებს; წვავს 7 მილიარდ ტონაზე მეტ პირობითს საბობს. და ყოველივე ამას აკეთებს ერთი წლის განმავლობაში. არსებული პროგნოზებით, ჩვენ მიერ მოყვანილი მაჩვენებლები 2000 წლისათვის 4-6-ჯერ გაიზრდება.

დედამიწის წიაღიდან სახარგებლო ნამარხების ასეთი რაოდენობით ამოღება, მათი გადამუშავება და გამოყენება თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში წარმოების დიდი დანაკარგებისა და ნარჩენების გამო იწვევს გარემოს გაჭუჭყიანებასა და დეგრადაციას.

მაგალითად, გამოდნობილი ლითონის მეოთხედი ნაწილი იკარგება მისი დამუშავების, გაცვეთისა და კოროზიის ხარჯზე, მოპოვებული ქიმიური ნედლეულის მესამედი ნაწილი — შემდგომი დამუშავებისას. თუ მიღებულ არ იქნა საჭირო ღონისძიებანი, 50 წლის შემდეგ ნიადაგსა და წყალში რკინის ჟანგიულის შემცველობა გაორკეცდება, ხოლო ტყვიის ნაერთებისა — გაიზრდება 10-ჯერ, სინდიყოსა — 100-ჯერ და დარიშხანისა — 250-ჯერ.

გარემოს ქიმიური გაჭუჭყიანების სამიშროება ღრმავდება იმით, რომ ორგანიზმებს უნარი აქვთ თავისში მოახდინონ იმ ელემენტების აკუმულაცია, რომლებიც ნივთიერებათა ცვლაში არ მონაწილეობენ. ამიტომ წყალმცენარეებში, ხმელეთის მცენარეებში, ცხოველთა და ადამიანის სხეულში ტყვიის, სინდიყოს, დგტ პესტიციდისა და სხვა ტოქსიკური ნაერთების კონცენტრაცია ათეულჯერ და ასეულჯერ აღემატება ნიადაგში, წყალსა და ჰაერში მათს შემცველობას. ეს მაგნ ნაერთები დედის რძეშიც კი აღმოჩნდება ხოლმე.

მსოფლიოს მოსახლეობის მესამედზე მეტი ცხოვრობს სამრეწველო ქალაქებში, რომლებიც ვულკანებივით ამოფრქვევენ ატმოსფეროსა და მდინარეებში დიდძალ მავნე ნივთიერებებს. მათი კონცენტრაცია „საშუალო“ მსოფლიო ქალაქის ატმოსფეროში 150-ჯერ, ხოლო სოფელ ადგილებში 10-ჯერ მეტია, ვიდრე ოკეანის თავზე. ამრიგად, ქალაქელები ხისტემატურად, თაობიდან თაობამდე განიცდიან მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ზემოქმედებას. ადამიანის ორგანიზმი ქალაქის პირობებში განიცდის ქანგბადის შიმშილობას, მასში ხდება ტოქსიკურ ნივთიერებათა აკუმულაცია, რაც ამცირებს მის წინააღმდეგობას ინფექციებისადმი, ამწვავებს გულ-სისხლძარღვთა და კიბოვან დაავადებებს, ასთმას და ღვიძლის ციროზს.

ამასთან დაკავშირებით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიების გამწვანებას. გამოანგარიშებულია, რომ ნორმალური ცხოვრებისათვის თანამედროვე სამრეწველო ქალაქებში თვითეულ მცხოვრებზე საჭირო გვქონდეს 25 კვადრატული მეტრი მწვანე ნარგავები. და თუ მოსკოვში ერთ ადამიანზე მოდის 45, ვენაში კი 25 კვადრატული მეტრი, ლონდონშია მხოლოდ 9, პარიზში — 3, მარსელში — 1, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისსა და იაპონიაში ატმოსფერო, ნიადაგი და წყალსატევები გაჭუჭყიანებულია სამჯერ უფრო მეტად, ვიდრე სსრ კავშირში.

თვალში გეცემათ განსხვავებაც ბუნების დაცვის პრობლემის გადაწყვეტაში სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე ინდუსტრიულ ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირსა და ევროპის სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოს დაცვა აკანონილია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტებს ტყეების აღწარმოებისა და გაფართოების, სახელმწიფო ნაკრძალების მოწყობის და სხვ. შესახებ, მას შემდეგ, და განსაკუთრებით 1968-1970 წლებში მიწის, წყლის, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საკავშირო და რესპუბლიკურ კანონმდებლობათა მიღების შემდეგ, სსრ კავშირში ხორციელდება სასტიკი კონტროლი იმისადმი, რომ დავიცვათ მრეწველობის გამონაბოლქვების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები და შევინარჩუნოთ გარემო ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის დროს. ამჟამად მრეწველობის ჩამდინარი წყლების 65-მდე პროცენტი იწმინდება.

ხარჯები ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისა და გაუჯობესებისათვის საბჭოთა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 2,5 პროცენტს აღემატება და წელიწადში 8 მილიარდამდე მანეთს შეადგენს.

სულ სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტურ ქვეყნებში. აქ გარემომცველი არეს დაცვის ღონისძიებები მწვავედ ეწინააღმდეგება მონოპოლიების იმ მისწრაფებებს, რომ მიიღონ მაქსიმალური მოგება. ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ეკოლოგი — ამერიკელი ბარი კომონერი ამას წინათ წერდა:

„ჩვენ ახლა ვიცით, რომ კერძო მფლობელობაში მყოფი თანამედროვე ტექნოლოგია ხანგრძლივად ვერ იარსებებს, თუ ანადგურებს საზოგადოებრივ ფასეულობას, რომელზეც იგი დამოკიდებულია, — ეკოსფეროს... საქმეთა არა საზოგადოებრივ, არამედ კერძო გაძღოლაზე დაყრდნობილი ეკონომიური სისტემა შესაბამისი, ეფექტური არ არის იმისათვის, რომ გამოიყენოს ეს საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფასეულობა. მაშასადამე, ეს სისტემა უნდა შეიცვალოს“.

მაგალითად, უკანასკნელ 30 წელიწადში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიკა ათობით კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მაგრამ მისი გაჭუჭყიანება კვლავ თანდათან მატულობს. მეწარმენი ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან კონტროლს, არა სურთ გაიღონ სახსრები გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობაზე. ამის შედეგად უდიდესი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელიც მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების დაახლოებით 30 პროცენტის მომხმარებელია, პლანეტაზე ბუნებრივი გარემოს მთელი გაჭუჭყიანების 40 პროცენტის წყაროს წარმოადგენს.

მდინარეთა, ზღვის დინებათა და განსაკუთრებით ჰაერის მასების ცირკულაცია ხდება სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ ადგილობრივ, რეგიონალურ გაჭუჭყიანებასთან ერთად არსებობს მთელი დედამიწის არეს პლანეტარული გაჭუჭყიანება.

ფრიად დამახასიათებელია ფაქტი: მას შემდეგ, რაც დაიწყეს დდტ-ის და მის ნაწარმთა გამოყენება, 25 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ანტარქტიდის ზედაპირზე თოვლთან ერთად დაილეკ 2500-მდე ტონა ეს პრეპარატი, ხოლო მისი ბუნებრივი დაშლის პერიოდი 50 წელიწადს შეადგენს!

დდტ-ის კონცენტრაცია მეცხოველეობის პროდუქტებში და ადამიანის ორგანიზმში იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მისი გამოყენება აკრძალულია, ორ-სამჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას.

არ შეიძლება შემფოთებას არ იწვევდეს სხვა მონაცემებიც. გარემომცველ არეში გემების, საავიაციო და ლოკომობილის ძრავებიდან ყოველწლიურად გადადის ტყვიის 2 მილიონ ტონაზე მეტი ეანგიული. უკანასკნელ ას წელიწადში მისი კონცენტრაცია ხუთჯერ გაიზარდა და კილოგრამ ყინულზე ორ მილიგრამს მიაღწია.

ნავთობისა და მისი პროდუქტების წარმოების დანაკარგები მოპოვების, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და გამოყენებისას შეადგენს წელიწადში 25 მილიონ ტონაზე მეტს, აქედან 15 მილიონამდე ტონა მსოფლიო ოკეანეში იკარგება. უკვე ახლა მისი 1/5 ნაწილი დაფარულია ზეთოვანი აფსკით, რომელიც ზღუდავს ოკეანისა და ატმოსფეროს ურთიერთკავშირს, ამცირებს წყლის აორთქლებას და ეანგბადით მის გაჯერებას, აფერხებს პლანქტონის განვითარებას, ზრდის მზის ენერგიის არეკვლას მსოფლიო სივრცეში.

კლიმატოლოგ ე. ბ. აღნიშნავენ, რომ გასული საუკუნის დამლევიდან 1941 წლამდე ჰაერის საშუალო ტემპერატურამ დედამიწის ზედაპირთან 0,5 გრადუსით მიწია, ხოლო უკანასკნელ 30 წელიწადში 0,3 გრადუსით დაიწია. თითქოს ამპლიტუდა ჯერჯერობით არ სცილდება ჰაის ბუნებრივი რყევის ფარგლებს და მასზე ტექნოგენური გავლენა ძალიან მცირეა. მაგრამ ეს ასე როდია. მსოფლიო წარმოება ერთი მხრივ ხელს უწყობს პლანეტის დათბობას იმით, რომ გამოჰყოფს სითბოს, ნასშირორჟანგს და წყლის ორთქლს, ხოლო მეორე მხრივ — ამცირებს მზის სითბოს შემოდინებას ატმოსფეროს გამტვერიანებით, რომელიც უკანასკნელ 30 წელიწადში გაორკეცდა.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ბუნება წარმატებით არომევდა თავს ნაყარის მინერალიზაციასა და ნეიტრალიზაციას, იცავდა წონასწორობას ნივთიერებისა და ენერგიის მარადიულ წრებრუნვაში. ამჟამად გაჭუჭყიანების ტემპებმა მიაღწია, ხოლო ადგილ-ადგილ უკვე აღემატება მისი ბუნებრივი დაშლის სიჩქარეს.

ბუნებრივი რესურსების აღწარმოებისათვის და გარემომცველი არეს აღდგენისათვის ხარჯების საჭიროება აღემატება ეროვნული შემოსავლის ზრდას და მოითხოვს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის სულ უფრო მეტ წილს. როგორ შეიძლება დაეძლიოთ ეს კრიზისი ისე, რომ არ შემცირდეს წარმოების ზრდის ტემპები და დაბლა არ დაიწიოს რიცხობრივად მზარდი მოსახლეობის საარსებო დონემ?

უწინარეს ყოვლისა ჯამალებული შეიარაღების შეწყვეტით. შეიარაღების შემცირება, და კერძოდ სტრატეგიული განიარაღება, შესაძლებელს გახდიდა გარემოს გაჭუჭყიანების მნიშვნელოვნად შემცირებას, ხოლო რაც მთავარია — ყოველწლიურად სულ მცირე 100 მილიარდი დოლარის — მსოფლიოში მთელი სამხედრო ხარჯების ნახევრის დაზოგვას. შესაძლებელი გახდებოდა ამ სახსრების გამოყენება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიური დონის ამაღლებისათვის, მრეწველობაში გამწმენდ ნაგებობათა სრულყოფისათვის, ენერგიის ისეთი ახალი წყაროების მისაგნებად მეცნიერულ-ტექნიკური ძიების გაძლიერებისათვის, რომლებიც გარემოს გაჭუჭყიანებას არ იწვევენ, და როგორც სტრატეგიული ამოცანა — წარმოების თანდათანობით გადაყვანა დახშულ ციკლზე. სხვა გამოსავალი კაცობრობას არა აქვს.

პროფესორი
ალ. რიაბჩიკოვი,
მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტის დეკანი.
(ახალი ამბების საგაზეთო).

ჩეხოსლოვაკიის დიპლომი — საბჭოთა მეურნეობას

სასინჯარულო წერილი მოვიდა ამ დღეებში ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის დირექციაში. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში მოწყობილ გამოფენაზე „სსრ კავშირის 50 წელი“ წარდგენილი ექსპონატებისათვის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი დიპლომით დააჯილდოვა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს ულოცავს დიპლომით დაჯილდოებას, მადლობას უხდის გამოფენაზე ექსპონატების წარდგენისათვის და რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მომავალშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში.

ამ დღეებში საბჭოთა მეურნეობაში პრაღიდან გამოგზავნილი დიპლომიც მიიღეს.

ო. კონცელიძე.

ხელოვნების ამბები

კ. მარჯანიშვილი და უკრაინის თეატრი

კიევის ლესია უკრაინკას სახელობის თეატრში გახსნილია გამოფენა „მარჯანიშვილი უკრაინაში“. მნახველები იცნობიან დიდი ქართველი რეჟისორის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ე. წ. უკრაინულ პერიოდს. თეატრის ცენტრალურ ფოიეში წარმოდგენილ ექსპოზიციას წინ უძღვის მარჯანიშვილის დიდი პორტრეტი და ბიოგრაფიული ცნობა უკრაინულ ენაზე. მას მოსდევს ისტორიისათვის ისეთი საყურადღებო დოკუმენტების ფოტოები, როგორიც არის მარჯანიშვილის მიერ კიევში 900-იან წლებში დადგმული ტოლსტოის, ჩეხოვის, მეტერლინკის და სხვა ავტორების პიესების პროგრამები, რომელთა ერთი თვალის გადავლებაც კი შთამბეჭდავად გვისურათებს მარჯანიშვილის მრავალმხრივ შემოქმედებით ურთიერთობას რუსული და უკრაინული თეატრალური კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან. მრავალ საინტერესო ფოტოდოკუმენტებს შორის ყურადღებას იქცევს ფოტოპორი ბრძანებულებისა კიევის თეატრების ნაციონალიზაციისა და მათ კომისრად მარჯანიშვილის დანიშვნის შესახებ.

ცალკე სტენდი ეძღვნება ცნობილ სპექტაკლს — ლოპე დე ვეგას „ფუენტე ოვეხუნას“ მარჯანიშვილისეულ დადგმას. ახლად გამოვლენილ და ექსპონირებულ მასალათა შორის ფრიად საინტერესოა მსახიობ ი. იაკოვლევის პირად დღიურში ღონორენი ჩანაწერი, რომელიც უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის პირველი საბჭოთა რევოლუციური სპექტაკლის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ უკრაინის თეატრალური მუზეუმის თანამშრომლები დიდი ინტერესით და ქმაყოფილებით ვმუშაობდით ღონიშნული გამოფენის მოსამზადებლად და მოხარულნი ვიქნებით, თუ კი მარჯანიშვილის თანამემამულეებს შესაძლებლობა მეიცემათ უშუალოდ გაეცნონ ჩვენს მცირედ წვლილს საბჭოთა ხალხთა კულტურული ურთიერთობის უჩქნობ ტრადიციათა განვითარებაში.

ლ. ნოვოსელიცკაია,
უკრაინის თეატრალური, მუსიკალური და კინოხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.
ქ. კიევი.

„ციხკრელთა“ მაგალითი

მეცხრე ხუთწლედის გეგმების მესამე წლის დავალებათა პირნათლად შესრულების საქმეში დიდი წვლილი შეიქვთ საქართველოს მხატვრული სიტყვის ოსტატებსაც. ხელოვნების მუშაკთა ცნობილ მოწოდებას, რომელიც ადრე გამოქვეყნებული იყო პრესაში, პირველნი ეურნალ „ცისკრის“ თანამშრომლები გამოეხმაურნენ. ცისკრელთა თაოსნობით შეიქმნა ბრიგადები, რომლებშიც შედიან ცნობილი მწერლები.

შექმნილ ჯგუფიებს გადაწყვეტილი აქვთ ეწეონ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს, უმოღლეს სასწავლებლებს, ფაბრიკა-ქარხნებს და საკოლმეურნეო მინდვრებს. მათ შეხვედრები ექნებათ წარმოების მოწინავეებთან, სწავლაში წარჩინებულებთან, სოფლის მეურნეობის გამოცდილ მუშაკებთან. ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკები შეხვედრებად თვიანთ ნაწარმოებთა მოამავალ გმირებს, მოუთხრობენ თვიანთ შემოქმედებითს გეგმებზე.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეურნალ „ცისკრის“ თაოსნობა და დაავალა საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომ აღნიშნულ შეხვედრებს მიაქციონ სათანადო ყურადღება მათი დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის გამო.

თ. გუდაძე.

ფეხბურთი

ხურცილავა, ძოძუაშვილი და სხვანი

როგორც ცნობილია, წლევანდელ სეზონში საბჭოთა კავშირის ნაკრებს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრები ელის — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები საფრანგეთისა და ირლანდიის გუნდებთან (მაისში). გარდა ამისა, ჩვენი ფეხბურთელები შეხვდებიან მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს — ბრაზილიის, გფრ-ის, ინგლისის, ბულგარეთის, რუმინეთისა და შვეიცის ნაკრებებს.

უკვე მარტის ბოლოს ნაკრები გაემგზავრება ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ბულგარეთში, რაც ძალების პირველი და სერიოზული შემოწმება იქნება.

როგორც საკადესის კორესპონდენტს ნაკრების მწვრთნელმა ე. გორბანსკიმ განუცხადა, გუნდში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ მოხდარა — დაცვის ხაზი პირვანდელი რჩება, ნახევარდაცვას და თავდასხმას კი რამდენიმე ახალი მოთამაშე დაემატა.

აი შემადგენლობაც, რომელიც უნდა გაემგზავროს ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ბულგარეთში: მეკარეები — ევგენი რუდაკოვი (კიევის „დინამო“) და ვლადიმერ პილგუი (მოსკოვის „დინამო“); მცველები — რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა (ორივე — თბილისის „დინამო“), იური ზაბუშენკი („ზენიტი“), ევგენი ლოვჩევი („სპარტაკი“), ვლადიმერ კაპლიჩნი (ცსკა) და ალექსანდრე ჟურავლიოვი („ზარია“). ნახევარმცველები — იური ვასენინი („ზარია“), ვლადიმერ ფედოტოვი (ცსკა), ვლადიმერ მუნტიანი, ვიქტორ კოლოტოვი, ვლადიმერ ვერემეევი (ყველა — კიევის „დინამო“); თავდამსხმელები — ოლეგ გლოხინი (კიევის „დინამო“), ვლადიმერ ონიშჩენკო („ზარია“), ანატოლი ზინჩენკო („ზენიტი“), ვადიმ ნიკონოვი (მოსკოვის „ტორპედო“).

ეონა აკეთებს ყაიმს

ოლოტი. მეორე ტურში მსოფლიოს ჩემპიონი გაფრინდაშვილი შეხვდა ფილიპინელ საერთაშორისო ოსტატ ზუგენიო ტორესს, რომელიც ივნისში ლენინგრადის საზონთაშორისო ტურნირში ითამაშებს. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მეტოქენი 49-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დასრულდა გიპლისის პარტია საერთაშორისო ოსტატ ენვერ ბუკიჩთან (იუგოსლავია). შეჯიბრებას ლიდერობს არგენტინელი მიგელ კინტერნო, რომელმაც 2 ქულა მოაგროვა.

კალათბურთი

ერთი ქულით

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის კალათბურთელთა ჩემპიონატის („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა) კალენდარული მატჩი ადგილობრივი და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. ქართველმა კალათბურთელებმა მიმდინარე გათამაშებაში მეცხრე დამარცხება განიცადეს — 59:60 (30:29).

გუშინ კაუნასში ლენინგრადის „სპარტაკმა“ დამარცხა ადგილობრივი „ჟალგირისი“ — 84:61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

პირველი მეთექვსმეტედფინალური

გუშინ სოჭში გაიმართა სსრ კავშირის თასის ჯათამაშების პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა“ და კიშინიოვის „ნისტრუს“ შორის. 90 წუთის განმავლობაში მეტოქეებმა ბურთი ვერ გაიტანეს — 0:0.

დღეს გაიმართება თასის ჯათამაშების კიდევ ხუთი შეხვედრა.

ჭადრაკი

მიხეილ ტალის «მეორედ დაბადება»

ჩემს წინაშეა ხუთი სატურნირო ცხრილი, 5 შედარებით ახალი ფურცელი. მათ ვერც კი მოასწრეს გაბუნებრივდა. ეს გასაგებია. სექტემბრიდან ხომ არც ისე დიდი დრო გავიდა. ლაპარაკია სოხუმის საერთაშორისო ტურნირზე, სკოპლეს საერთაშორისო ოლიმპიადაზე, საკავშირო ჩემპიონატზე, რომელიც ბაქოში ჩატარდა, და ბოლოს, ვეიკ-ან-ზეეს და ტალინის საერთაშორისო ტურნირებზე.

ჩემს წინაშეა ამ შეჯიბრებებში გათამაშებული 82 პარტია. სულ სხვადასხვანაირი, შეტევითი და თავდაცვითი, ზოგის ბედი დებიუტში გადაწყდა, ზოგისა — რიულ მიტელშპილში, ზოგისა კი — ენდშპილში. აქ ყველაფერია — კომბინაციური ელვარება, ღრმა პოზიციური მანევრები, კავალერიული თავდასხმა, მძიმე და ხანგრძლივი „კანონდა“. ერთი სიტყვით, საჭადრაკო თამაში თავის ნაირსახეობით, დამატყვევებელი სილამაზით.

ჩემს წინაშეა ე. წ. პროფესორ არპად ელოს ცხრილიც, რთული ფორმულები, რომლებიც მოჭადრაკის ძალას გამოხატავენ...

მოელი ამ ცხრილებიდან, პარტიებიდან თუ ფორმულებიდან მე ერთი რამ მინდა გავიგო — რაგორ მოხდა, რომ ბევრი სპეციალისტის მიერ „ჩამოწერილმა“ მიხეილ ტალმა, არც მეტი, არც ნაკლები, ზედიზედ 5 ტრიუმფი იზეიმა. 82 შეხვედრიდან არც ერთი არ წაგო, „მეორედ დაიბადა“, თუ გნებავთ, „მკვდრეთით აღდგა“, როგორც ზმირად წერენ საჭადრაკო პრესაში.

უპირველეს ყოვლისა, ვიტყვით, რომ ტალი ერთბაშად როდი „ეანახლებულა“. ეს თანდათანობითი პროცესი 1969 წლის მიწურულში დაიწყო, როდესაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თბილისის საავადმყოფოში ავადმყოფი თირკმელი „დასტოვა“.

გადავხედოთ ამ 5 ცხრილს და თანაც პასუხი გავცეთ სკეპტიკოსებს. რაც ტალი თამაშობს, მის ყოველ გამოსვლას „ურმუნო თომების“ ბუზღუნი სდევს. „ბედი სწყალობს“ — აი, მათი „არგუმენტი“. მაგრამ, როგორც ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ, „იგზორრება არგუმენტი როდინ“.

სოხუმში, ავგისტო-სექტემბერში უბრალო, „რაგითი“ საერთაშორისო ტურნირი რიდი მიმდიხარეოდა. აქ თამაშობდნენ მსოფლიოს პირველობის ყოფილი პრეტენდენტები ჰიუნერი, ტამანოვი, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ჩემპიონი ხავონი. 11 ქულა 15 თამაშიდან, არცერთი წაგება. სკეპტიკოსებს შეუძლიათ თქვან, რომ სოხუმში საშინელი სიცხე იყო. დიახ, მაგრამ სიცხე ყველას თანაბრად შელიდა ხელს. არ ვიცი, აქვს თუ არა ამას რაიმე კავშირი სოხუმის შარშანდელ სიცხისთან, მაგრამ წელს ტალს ქალაქ ბრაზილიის ან-ზეეში 10,5 ქულით 15-დან (დაუმარცხებლად!). არც აქ იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტები. ჰორტი, ლიუბოეევიჩი, პოლანინი, ნაიდორფი, დონენი, ვასიუკოვი, ბალაშოვი — რა ვეყოთ მერე! სან-ანტონიოს ტურნირის შემადგენლობა უფრო ძლიერი იყო — თქვეს ტალის კრიტიკოსებმა.

დიახ, მაგრამ ვინ რას დაუწუნებს ტალინის ტურნირს, სადაც თამაშობდნენ სპასკი, პოლუგაევსკი, კეერესი, ბრონშტეინი, დანარჩენ გროსმისტერებზე რომ არაფერი ვთქვათ?! ისევ პირველი ადგილი, ისევ დაუმარცხებლად! ყოველივე ეს მართლაც იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს უწინდებურად მრისხანე ტალთან, „გენიალურ მოიერიშესა“ (გერმანელ ოსტატ ბრინკმანის გამოთქმაა) და „რიგელ ჯადოქართან“.

„თქვენ მკვდრეთით აღსდგეთო“ — ხუმრობით უთხრეს ტალს ბაქოში გამარჯვების შემდეგ. „მკვდრეთით?! მე არ წამიკითხავს არც ერთი ხეირიანი ნეკროლოგი ჩემს შესახებ“ — მოსწრებულად უპასუხა ტალმა.

ახლა 82 პარტიას გადავხედოთ. ეს არის „ძველი და, თუ გნებავთ, განუხლებული ტალიც. მისწრაფება შეტევისაკენ ისეთივე დარჩა, დიდი სიმწვავეც, ძველებური ენერგია. ოღონდ იერიშები უფრო საფუძვლიანად არეხს მომზადებული, ტალი ყოველთვის როდი წვავს უკანდასასვენ ხიდს. ახლა მან იცის, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“. თუ მოგებას ვერ აღწევ, წაგება როდია აუცილებელი, არის ყაიმის შესაძლებლობაც.

ჩვენ ვგინახავს ჩინებული წიგნები მსოფლიოს ექს-ჩემპიონის შესახებ „ტალი“ (ხერიაში „ჭადრაკის მსოფლიო ისტორია“, ჰამბურგი, 1961 წ. 419 პარტიით), უნგრელ ოსტატ ჰაიტუნესა — „საჭადრაკო ჯადოქარი ტალი“, ლობლენგის — „საჭადრაკო ბრძოლის გზებზე“, ვასილიევის „ტალის გასწავლა“. ახლა, ეტყობა, ახალი წიგნის გამოცემაა საჭირო.

და ბოლოს, რამდენიმე სიტყვა, პროფ. ელოს ცხრილზე. შარშან, ოიგაში გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩის დროს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ხშირად ვხვდებოდი. — რა აზრისა ხართ ელოს ცხრილზე? (მე კარგად ვიცოდი, რომ იგი მაშინ ამ ცხრილში 9-10 ადგილებს იყოფდა ლარსენთან).

— ჩემთვის, ჰუმანიტარული განათლების ადამიანისათვის, ძალზე ძნელია ასეთ ფორმულებში გარკვევა...

ბოლოს დავძენთ, რომ 5 რიგითი ჯამარჯვების შემდეგ ტალმა ამ ცხრილში შეცხრე-მეათედან მერე ადგილზე გადაინაცვლა ოთხ სულ რაღაც 6 თვეში გაკეთდა.

ვ. ბამრეკელი.

ახლა კი გავეცნოთ ტალის შედეგს ტალინის საერთაშორისო ტურნირიდან — ბრწყინვალედ ჩატარებულ პარტიას სპასკისთან მე-13 ტურში.

სპასკი — ტალი

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 ეf6 2. c4 e6 3. ეc3 ლb4 4. კg5 h6 5. ლh4 c5 6. d5 b5 7. de ეe 8. cb d5 9. e3 0—0 10. ეf3 ლa5 11. კ:f6 ე:f6 12. ლd2 a6 13. ba ეc6 14. ეe2 d4 15. ed ე:f3 16. კ:f3 cd 17. 0—0 dc 18. bc კ:c3 19. ლd6 ე:a6 20. კ:c6 ლb4 21. ლh8 ე:c6 22. ეac1 კc5 23. ეc2 ლa4 24. ლb3 ლg4 25. ლg3 ლf5 26. ეfc1 კb7 27. ლf3 ლg5 28. ლb3 ეc7 29. g3 კ:f2+ 30. მფ:f2 ლf6+ 31. მფe1 ლe5+ 32. მფf1 კa6+ 33. მფg1 ლd4 + 34. მფ.g2 ლe4+ 35. მფg1 კb7 36. h4 ლh1+ 37. მფf2 ეf7+ 38. მფe2 ლe4+ თეთრები დანებდნენ.

ხაჭართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაიხაბჭოს აღმასკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1940 წლიდან, ხაჭართველოს კპ ლენტეხის რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი, პერსონალური პენსიონერი

სევერიან ტარასის-ძე მუსელიანი.

ტელევიზია

16 მარტი

პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია („ადამიანის განვითარება“ მეათვალსაწინოთვის), 11.25 — სბავშვო ფილმი-ბალეტი — „ბუზი-ბუზანკალა“, 12.10 — სკოლების დასახმარებლად — ზოგადი ბიოლოგია („ადამიანის განვითარება“ მეათვალსაწინოთვის (გამეორებით), 12.35 — მხატვრული ფილმი — „ადამიანი დაიბადა“, 14.15 — ტელეფილმი — „ფრესკა“, 14.40 — ქართული ფერადი ტელეფილმების პროგრამა. (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — მათემატიკაში, 17.15 — ფიზიკაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის. „მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი“..., 18.40 — „სრულყოფთ სარკინიგზო ტვირთბრუნვის ეფექტიანობას“, 19.00 — „ვანის საგანძური“, 19.40 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 20.00 — „სოციალიზმის სამყარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი: „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ X სერია (ქართულ ენაზე), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — თბილისის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის კონცერტი.

მეორე პროგრამით

17.10 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკის გაკვეთილი („მექანიკური დარტყმა“ რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის), 17.55 — განცხადებები, 18.00 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 19.00 — თეორიულ მექანიკაში, 20.00 — მხატვრული ფილმი — „ქართა ნაპირი“.

რადიო

16 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ა. ბუკია. ნაწყვეტები ოპერა „ყვავილთა სამყაროდან“, 06.50 — „სოფლის დილა“, 08.00 — „გზით „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვი), 08.10 — საქალაქო საკრანსლაციო ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — მუსიკა, 08.30 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვი), 11.05 — ა. ხოლმინოვი. სცენები ოპერა „ოპტიმისტური ტრაგედიიდან“, 11.45 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“. 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — სიმღერები ანსამბლ „ორდილას“ შესრულებით. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. 12.30 — ლ. ბეთპოვენი. შვიდი ვარიაცია მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ თემაზე, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 კონცერტი (პროგრამა შეადგინა „თბილვეირაბმშენის“ რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მუშამ, მეარმატურეთა ბრიგადირმა გ. ინჩკიტიძემ), 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — „გზით „პრავდის“ მოწ